ქართულ - ამერიკული სკოლა

GEORGIAN - AMERICAN SCHOOL

როგორ ვეხმარები ჩემს პირველკლასელ მოსწავლეებს კითხვის უნარის განვითარებაში

ეკატერინე მაკარიძის

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში

თბილისი

2019

სარჩევი

შესავალი **2**

თავი I საკვლევი პრობლემის იდენტიფიცირება **4**

1.1 პრობლემის არსი 4

1.2 კვლევის მიზანი 8

1.3 კვლევის ამოცანა 9

1.4 კვლევის დაგეგმვა 9

1.5 საკვლევი კითხვები 9

1.6 ლიტერატურის მიმოხილვა 10

თავი II საკვლევი საკითხის შესწავლა და კვლევის მეთოდები **15**

2.1 კვლევის მეთოდები 15

2.2 ფოკუს ჯგუფის განსაზღვრა 19

2.3 კვლევის სამიზნე ჯგუფის განსაზღვრა 19

2.4 მშობელთათვის კითხვის კალენდრის გაცნობა 19

2.5 კვლევის მოსალოდნელი შედეგი 21

2.6 კვლევის შეზღუდვები 21

2.7 კვლევის ვადები 22

თავი III ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება **22**

3.1 ინტერვენციამდე გამოკითხვის პასუხების ანალიზი 22

3.2 ინტერვენციის განხორციელება 25

3.3 ინტერვენციის შედეგების შეფასება 32

3.4 მიღებული შედეგების გრაფიკული გამოსახულება 35

თავი IV კვლევის შედეგების შეჯამება **37**

4.1 რეკომენდაციები 37

4.2 დასკვნა 38

4.3 გამოყენებული ლიტერატურა 40

4.4 დანართები 41

რეფლექსია კვლევის გაზიარების შედეგებზე **46**

შესავალი

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა წარმოადგენს ქართულ - ამერიკული სკოლის, დაწყებითი კლასების კათედრის, პირველი კლასის პედაგოგის ეკატერინე მაკარიძის ნაშრომს. კვლევა განვახორციელე ქართულ - ამერიკული სკოლის პირველ კლასში, რომელიც გახლავთ ჩემი სადამრიგებლო. კვლევის წარმოება მიმდინარეობდა 2018 წლის დეკემბრიდან 2019 წლის მაისის ჩათვლით.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა განხორციელდა თბილისის ქართულ - ამერიკულ სკოლის პირველ კლასში.

კითხვის უნარის განვითარება ეროვნული სასწავლო გეგმის ქართული ენის და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტის ძირითადი მიზანია.

„კითხვის უნარის განვითარება წიგნიერების საფუძველია,რაც სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.“(ე.ს.გ.2018-2024)

მოსწავლეებს, რომელთაც დაწყებით საფეხურზე კარგად განუვითარდებათ კითხვის უნარი, ასეთი მოსწავლეები ზოგადი განათლების შემდეგ საფეხურებზე უკეთესი შედეგებით გამოირჩევიან.

კითხვის უნარის ქონა მოსწავლეს ეხმარება წაკითხულის გააზრებაში და შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბებაში. თუ ტექსტს ვერ წაიკითხავს მოსწავლე, გაუჭირდება მისი გააზრება და ექნება დაბალი აკადემიური მოსწრება. მასწავლებელმა კითხვის უნარის განვითარების აქტივობები იმგვარად უნდა დაგეგმოს, რომ არ გადაღალოს ბავშვი და არ ჩაკლას მასში სწავლის მოტივაცია.

მე, როგორც დაწყებითი კლასების პედაგოგი, თავს მოვალედ ვთლი,პირველი კლასიდანვე დავეხმარო ჩემს მოსწავლეებს კითხვის უნარის განვითარებაში, ადრეული პერიოდიდანვე გამოვავლინო კითხვასთან დაკავშირებული პრობლემები, დავგეგმო და განვახორციელო ისეთი მეთოდები და აქტივობები ამ პრობლემების დასაძლევად, რომ ბავშვები პირველი კლასიდანვე ჩამოყალიბდნენ კარგ მკითხველებად და შემდგომში არ ჰქონდეთ სწავლასთან დაკავშირებული სიძნელეები.

კვლევის აუცილებლობა განაპირობა ჩემს სადამრიგებლო კლასში 2018 წლის დეკემბრის თვეში აღმოჩენილმა და გამოკვეთილმა კითხვასთან დაკავშირებულმა პრობლემამ. კერძოდ, მოსწავლეთა ნახევარი 1 წუთში 15 სიტყვაზე ნაკლების წაკითხვას ახერხებდა. აგრეთვე, პირადმა დაკვირვებამ ცხადჰყო და დიაგნოსტიკური ტესტების გამოყენებითაც დადასტურდა,რომ ბავშვებს, ძირითადად , ფონეტიკური პრობლემები აღენიშნებოდათ. ცხადია, გასაკვირი არ არის პირველი კლასის მოსწავლის მსგავსი აკადემიური მახასიათებელი, თუმცა ყველაფრის გამოსწორება შესაძლებელია მონდომებული პედაგოგის მიერ ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე. მუდმივი ჩართულობითა და მონდომებით, ვფიქრობ, შევძელი მოსწავლეების კითხვის უნარის განვითარება.

კვლევის I ეტაპი მოიცავს **პრობლემის იდენტიფიცირებას** კერძოდ, იმის დადგენას, თუ რა პრობლემები არსებობს კითხვის უნარის განსავითარებლად ჩემს პირველკლასელ მოსწავლეებში.

კვლევის II ეტაპი ითვალისწინებს კვლევისათვის საჭირო დროის განსაზღვრას, რომელიც ჩემი კვლევისათვის 6 თვეს წარმოადგენს.

კვლევის III ეტაპზე ვაცნობე სკოლის ადმინისტრაციას, რომ ვგეგმავდი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის განხორციელებას ჩემს სადამრიგებლო კლასში.

კვლევის IV ეტაპზე განსაზღვრე, თუ რომელი კვლევის მეთოდები დამეხმარებოდა ჩემი კვლევის სწორად წარმართვისათვის.

კვლევის V ეტაპზე შევადგინე კითხვარი კათედრის ხელმძღვანელისთვის, რომელიც 2018 წლის დეკემბრის თვეში დაესწრო პირველკლასელთა საგაკვეთილო პროცესს და მნიშნელოვანი გახლდათ მისი მოსაზრება, ბავშვებში კითხვასთან დაკავშირებულ ხარვეზებზე. ამასთანავე, შევადგინე კითხვის კალენდარი მშობლებისთვის და დავიწყე ინტერვენციისათვის მზადება.

კვლევის VI ეტაპზე მოვახდინე ინტერვენციამდე პერიოდის სიტუაციის შეფასება და ანალიზი.

კვლევის VII ეტაპზე განვახორციელე ინტერვენცია, მოვუყარე თავი შედეგებს და შევაჯამე.

თავი I საკვლევი პრობლემის იდენტიფიცირება

1.1 პრობლემის არსი

მოსწავლეთა სწავლის პროცესი შრომატევადია და თანამედროვე ეტაპზე პედაგოგისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ მონდომებასა და აქტიურ ჩართულობას. ბავშვებს დაწყებით საფეხურზევე შეაყვაროს სწავლა, მისცეს ის საბაზისო ცოდნა, რაც აუცილებელია მომდევნო კლასებში მისი ცოდნის დონის ასამაღლებლად. სწავლის განწყობის შექმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისეთი პედაგოგი, რომლის პიროვნული ნიშნები სრულად აკმაყოფილებს მის მიმართ წაყენებულ მოსწავლის მოთხოვნებს. ამ ნიშნების მქონე პედაგოგი ქმნის ემოციურად დადებით ფონს სწავლისათვის და მისგან გადაცემული მასალაც უფრო მისაღებია მოსწავლისათვის.

თემის აქტუალურობა განაპირობა პირველკლასელთათვის კითხვის, როგორც ახლად ნასწავლი ფენომენის არსებობამ. ჩემი პედაგოგიური გამოცდილებიდან ვიცი, რომ კითხვის უნარის განვითარება მნიშვნელოვანია დაწყებით საფეხურზე. სწორედ ამ უნარის განვითარების შედეგად იზრდება ბავშვის ცოდნის დონე.კითხვის უნარის განვითარება უმნიშვნელოვანესია, არამარტო ქართულის, არამედ ნებისმიერი საგნის შესწავლისათვის.

პირველ ყოვლისა, პრობლემას, რომელსაც პირველი კლასის მასწავლებელი აწყდება ეს მოსწავლეების მიერ ანბანის გაგებასთან დაკავშირებული პრობლემაა, ხოლო მას წინ უძღვის **ფონეტიკის საფუძვლების უქონლობა,** რაც არსებითად მნიშვნელოვანია კითხვის უნარის განვითარებისათვის.

სწავლა კოგნიტური პროცესი გახლავთ და ამ მხრივ საგულისხმოა ბავშვთა ფიზიოლოგიური განვითარების დონეც, რათა მან შეძლოს ფონეტიკის სრულად გააზრება და სწორი აღქმა.

დაწყებითი კლასის პედაგოგი უნდა მუშაობდეს იმ მიმართულებით,რომ მოსწავლეს კითხვის მიმართ ჩამოუყალიბდეს პოზიტიური დამოკიდებულება. გამოუმუშავოს მოსწავლეებს წერილობითი ტექსტის დეკოდირების უნარი(ამოიცნონ ასო და დააკავშირონ ბგერასთან;შეძლონ ბგერების გაერთიანება სიტყვებად;სიტყვის მარცვლებად დაშლა;ამოიცნოს სიტყვის ორთოგრაფიული ხატი).

კითხვის უნარის გასაუმჯობესებლად და დასახვეწად მრავალი მეთოდის შემუშავებაა შესაძლებელი. თითოეული პირველკლასელი ბავშვი ეს ჯერ კიდევ ,,უწრთობი ფოლადია", რომელთაც აუცილებლად ესაჭიროებათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით მოქმედება,რომლითაც ანგარიში უნდა გაეწიოს მათ მოთხოვნილებებს, გუნება - განწყობას.

კითხვის უნარის განვითარება პირდაპირ კავშირშია იმ სოციუმთან, რომელშიც ბავშვს უწევს ყოფნა. პრაქტიკაში დამტკიცებულია, რომ მოსწავლე რომელიც სახლში ხედავს, რომ მისი მშობლები ამა თუ იმ ლიტერატურას ეცნობიან, კითხულობენ ჟურნალს ან გაზეთს, მასაც უჩნება კითხვის სურვილი.კითხვის უნარის განვითარებით მოსწავლეები ეზიარებიან მშობლიურ და მსოფლიო ლიტერატურას.

„კითხვის უნარის დაუფლება ხუთი ძირითადი კომპონენტის განვითარებას მოიცავს.ეს კომპონენტებია: ფონოლოგიური უნარ-ჩვევები,ანბანის ცოდნა, ლექსიკური მარაგი, გაწაფული/გამართული კითხვა,გაგება-გააზრება."(საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი 2015:9)

პედაგოგმა უნდა წარმართოს მუშაობა ტექსტის გაგება-გააზრების განსავითარებლად. მოსწავლეს უნდა შეეძლოს იმის გაგება,რასაც კითხულობს.იზრუნოს მოსწავლის ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე. ლექსიკური მარაგის სიმდიდრე პირდაპირ კავშირშია წაკითხულის გაგება-გააზრებასთან.

კითხვის დაწყებამდე მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა აღუძრას მოტივაცია,რათა მოსწავლეები ხალისით ჩაერთონ კითხვის პროცესში.

ზოგიერთი მოსწავლისათვის კითხვის შესწავლის პროცესი გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მოსწავლეს ეს სიძნელე შეიძლება კითხვის სწავლების

ნებისმიერ ეტაპზე შეექმნას.თუ ბავშვს პრობლემები შეხვდა კითხვის შესწავლის პროცესში,მას უარყოფითი დამოკიდებულება უყალიბდება კითხვის მიმართ.

PIRLS 2011-ის კვლევებმა დაადასტურეს, რომ ბავშვში "კითხვასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა შეიძლება გამოიწვიოს აკადემიური წარუმატებლობა,ხელი შეუშალოს სკოლისა და სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას და ხელი შეუწყოს „ნეგატიური ქცევების" განხორციელებას." (კუტალაძე 2013:11)

მოსწავლეს ,რომელსაც კითხვაში პრობლემა აქვს ადვილად ღიზიანდება და აგრესიას გამოხატავს გარშემო მყოფების მიმართ.

მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა დაადგინოს ამ პრობლემების გამომწვევი მიზეზები,რათა დროულად დაგეგმოს ისეთი მეთოდები და აქტივობები ,რომლებიც დაეხმარება მოსწავლეს პრობლემის დაძლევაში.

ამით მასწავლებელი ხელს შეუწყობს მოსწავლეს, გაუმჯობესდება მისი სწავლის ხარისხი და ამასთანავე, დაეხმარება მოსწავლეს სოციალიზაციასა და პიროვნულ განვითარებაში.

საკითხი- კითხვის სწავლება,რომ აქტუალურია ამას ადასტურებს სამეცნიერო კვლევები.ჯერ კიდევ 1950 წლამდე ჩატარდა 3000 სამეცნიერო კვლევა.(კუტალაძე 2013:7)

კვლევა სარგებელს მომიტანს,იმ კუთხით,რომ ამაღლდება ჩემი პროფესიული საქმიანობა. ჩემთვის უპირველესი მნიშვლელობა ენიჭება გამოვლენილი პრობლემების მოგვარებას,კვლევის დროს გამოვლინდება ჩემ მიერ გამოყენებული მეთოდებისა და სტრატეგიების ეფექტიანობა.ეფექტურ სტრატეგიებსა და მეთოდებს გამოვიყენებ მომავალში მოსწავლეებში კითხვის უნარის განსავითარებლად.

კოლეგები დაინახავენ კვლევის საჭიროებას და თვითონაც გაუჩნდებათ მოტივაცია განახორციელონ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა.

კითხვის უნარის განსავითარებლად კოლეგები დანერგავენ ჩემ მიერ გამოყენებულ სტრატეგიებსა და მეთოდებს.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგად ვფიქრობ, ჩემს პირველკლასელ მოსწავლეებს განვუვითარებ ისეთ მახასიათებლებს, რომლებიც კითხვის უნარის განვითარებისათვისაა საჭირო, ესაა სიტყვების დამარცვლის შესაძლებობა, დამარცვლილის გაგება - გააზრება, გამეორება. ასევე, სწრაფი კითხვის ტექნიკა.

ჩემ მიერ განხორციელებული ეფექტიანი სწავლების მეთოდიკის შერჩევა და სასწავლო პროცესში დანერგვა, მოსწავლეთა მშობლებისათვის მისაღები და მისასალმებელი იქნება, იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება მათი შვილებისათვის საუკეთესო საბაზისო ცოდნის მიღებას, რომელიც დაეხმარებათ მომდევნო კლასებში წარმატებით დაძლიონ სასწავლო პროგრამები და ჰქონდეთ მაღალი აკადემიური მოსწრება. რაც შეეხება სკოლას, ახლებური სტილით ჩატარებული გაკვეთილები, რომლებიც გამოიღებენ ნაყოფიერ შედეგს, აამაღლებენ მოსწავლეებში წიგნიერების დონეს და ფუნდამენტს ჩაუყრიან სწავლის პროცესის საწყის ეტაპზე საჭირო ცოდნას, აღსანიშნავი და პრაქტიკაში დასანერგი სასწავლო გეგმადაც შეიძლება შემუშავდეს და გათვალისწინებულ იქნეს პირველკლასელთა სწავლების დროს.

პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები:

- ასოების სიტყვებად გამთლიანების სირთულე
- მცირე ლექსიკური მარაგი
- გამართული კითხვის დეფიციტი
- სიტყვის,წინადადების ,ტექსტის შინაარსის წვდომის სირთულე
- კითხვისადმი მოტივაციის ნაკლებობა.

განვიხილავ თითოეულ მათგანს:

ასოების სიტყვებად გამთლიანების სირთულე- მოსწავლეს შეუძლია ასოების ამოკითხვა,თუმცა უჭირს ამ ასოების სიტყვებად გაერთიანება.

მცირე ლექსიკური მარაგი-მოსწავლეს უჭირს სიტყვის მნიშვნელობის გამოცნობა.არ შეუძლია წაკითხულიდან აზრის გამოტანა,რადგან არ იცის სიტყვათა უმრავლესობის მნიშვნელობა.

გამართული კითხვის დეფიციტი-მოსწავლეს უჭირს უშეცდომოდ,გაბმულად, სწრაფად და გამომეტყველებით კითხვა.

სიტყვის,წინადადების ,ტექსტის შინაარსის წვდომის სირთულე-მოსწავლე კითხულობს სიტყვას,თუმცა ვერ ხვდება რა წაიკითხა.ტექსტის წაკითხვის შემდეგ,ვერ პასუხობს ტექსტის მიხედვით დასმულ კითხვებს.უჭირს ტექსტის გააზრება.

კითხვისადმი მოტივაციის ნაკლებობა-არამოტივირებული მოსწავლეები არიან სწორედ ცუდი მკითხველები.არ ანიჭებთ სიამოვნებას კითხვის პროცესი.ისინი ცოტას კითხულებენ და ვერ ფლობენ კითხვის სტრატეგიებს.(ინკლუზიური განათლება,გზამკვლევი მასწავლებლებისათვის,2009:112-113)

1.2 კვლევის მიზანი

აღნიშნული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა განვიზრახე და ცხადია, დავსახე მიზნები, რომელთა განხორციელებასაც უნდა ემსახურებოდეს ჩემი კვლევა, ეს მიზნებია: პირველკლასელ ბავშვებში, მოვახდინო კითხვის უნარის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემის განსაზღვრა/დადგენა; გავაანალიზო ჩემს სადამრიგებლო კლასში კითხვის უნართან დაკავშირებული პრობლემის გამომწვევი მიზეზები; ინტერვენციისათვის მოვემზადო და მოვახერხო ჩემი იდეების რეალობაში პრაქტიკული დანერგვა, რომლებიც დაეხმარება ჩემს მოსწავლეებს სირთულეებისა და ზედმეტი სტრესის გარეშე დაეუფლონ კითხვის უნარს; შევიმუშავო გარკვეული სახის სტანდარტი და შევქმნა კითხვის უნარის განვითარებისათვის საჭირო საგაკვეთილო აქტივობები, რომელიც გამოადგება სხვა დაწყებითი კლასის პედაგოგებს; დავგეგმო ინტერვენციები, შევაფასო და კოლეგებს გავუზიარო; საფუძველი ჩავუყარო ფონეტიკის კუთხით მოსწავლეებში არსებული პრობლემების აღმოფხვრის გზების ძიებას და დავეხმარო ჩემს პირველკლასელ მოსწავლეებს კითხვის უნარის შეძენაში.

1.3 კვლევის ამოცანა

კვლევის სწორად წარმართვისათვის, დავსახე შემდეგი ამოცანები :

1. რა ღონისძიებებია გასატარებელი, რათა მოვახდინო პირველკლასელთა კითხვით დაინტერესება.
2. როგორ დავეხმარო ჩემს პირველკლასელ მოსწავლეებს კითხვის უნარის განვითარებაში, მათზე მორგებული და საინტერესო საშუალებებით.
3. სხვადასხვა მეცნიერების პედაგოგიკასთან კონტექსტში, შევიმუშავო ახლებური კონცეფცია და მოვახდინო მისი სასკოლო პროცესში ადაპტაცია.
4. მოვიძიო სათანადო ლიტერატურა და გავეცნო მას, რათა ვიცოდე, აქამდე არსებულ რა მეთოდებს იყენებდნენ მასწავლებლები.
5. დავინტერესდე, როგორც ქართველი პედაგოგების გამოცემებითა და ნააზრევით, ისე უცხოური გამოცდილებითაც, რათა გამიადვილდეს ინტერვენციის სწორად დაგეგმვა.
6. გავუმკლავდე პირველკლასელთა კითხვის უნართან დაკავშირებულ პრობლემებს, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

1.4 კვლევის დაგეგმვა

- კვლევის განხორციელებისათვის საჭიროა ნახევარი წელიწადი (6 თვე).
- კვლევა მოითხოვს სათანადოდ შერჩეულ კვლევის მეთოდოლოგიას, როგორც რაოდენობრივ ისე თვისებრივ კვლევას.
- პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის განხორციელების პროცესში მისი ჰიპოთეზის კოლეგებისათვის გაცნობა.
- მიღებული შედეგების, სათანადო დონეზე გამოქვეყნება და აპრობაცია.

1.5 საკვლევი კითხვები

კვლევის მთავარ კითხვაზე : როგორ ვეხმარები ჩემს პირველკლასელ მოსწავლეებს კითხვის უნარის განვითარებაში? ჩამოვაყალიბე კვლევის კითხვები, ვფიქობ, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში დამეხმარება ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში.

- რა უშლის ხელს მოსწავლეს კითხვის პროცესში?
- რომელი აქტივობები და სტრატეგიები იქნება ეფექტური , რომ მოსწავლეს განუვითარდეს კითხვის უნარი?
- რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა,რომ მოსწავლეს შეუყვარდეს კითხვა?
- რა დროს უთმობს მოსწავლე კითხვის პროცესს?
- რომელი ინსტრუმენტი დამეხმარება კითხვაში მოსწავლეთა პროგრესის შესაფასებლად?
- რა როლი ენიჭება კითხვის უნარის განვითარებას დაწყებით საფეხურზე?

1.6 ლიტერატურის მიმოხილვა

კითხვის უნარის განვითარება დაუღალავ შრომას მოითხოვს პედაგოგის მხრიდან, შესაბამისად, მოვახდინე რა ჩემს სადამრიგებლო კლასში კითხვასთან დაკავშრებული პრობლემის იდენტიფიცირება დავიწყე იმაზე ფიქრი, თუ რა შეიძლებოდა გამეკეთებინა არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად და უკეთეს შედეგზე გასავლელად. აქედან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, მოვიძიე ლიტერატურა წიგნიერების ამაღლებაზე, კითხვის სწავლებასა და მასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრაზე. ხოლო ეს ინფორმაციები დავამუშავე და დავგეგმე ინტერვენციები, რათა მეჩვენებინა, თუ როგორ ვეხმარები ჩემს პირველკლასელებს კითხვის უნარის გაუმჯობესებაში. აქვე უნდა ვთქვა, რომ პედაგოგიკასთან დაკავშირებული სხვადასხვა ნაშრომი და საბავშვო ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოები დამეხმარა უკეთ ჩავწვდომოდი ამ ასაკის ბავშვთა ბუნებას და გამომეკვეთა მათი ინდივიდუალური შტრიხები, რაც კონკრეტულ ბავშვზე მორგებული სასწავლო გეგმის შედგენაში გამომადგა. უპირველეს ყოვლისა, კითხვის დროს ფონოლოგიური პრობლემების გადაჭრაზე დავიწყე ფიქრი.

„როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს სიტყვების წაკითხვა?

მასწავლებელმა ინტენსიურად უნდა იმუშაოს შემდეგი მიმართულებებით: ასწავლოს მოსწავლეებს, როგორ დაშალონ სიტყვა მარცვლებად;ავარჯიშოს ისინი გრძელი, მრავალმარცვლიანი სიტყვების წაკითხვაში (დააშლევინოს მარცვლებად, შემდეგ გადაანაცვლებინოს ან ჩამოაშორებინოს ეს მარცვლები და სხვადასხვა კომბინაციით წააკითხოს ისინი);ხშირად წააკითხოს მოსწავლეებს უჩვეულო

ბგერითი შედგენილობის სიტყვები (მაგ., უცხო ან ცნების/ტერმინის აღმნიშვნელი სიტყვები);ასწავლოს მათ სიტყვის დაშლა ცნობად ნაწილებად, სიტყვაში ფუძის გამოყოფის, მაწარმოებლებისა და მათი ფუნქციის ამოცნობის ხერხები;ასწავლოს და ავარჯიშოს ისინი სიტყვების შემადგენელ ნაწილებად დაშლასა და მათი გამოყენებთ ახალი სიტყვების შედგენაში;ასწავლოს მათ, როდის და როგორ გამოიყენონ სიტყვის სტრუქტურული ანალიზის ცოდნა უცნობი და/ან რთული სიტყვების წასაკითხად;"(სამსონია ი. 2014 „რატომ ჩამორჩებიან მოსწავლეები კითხვაში და როგორ დავეხმაროთ მათ") http://mastsavlebeli.ge/?p=2024

გავეცანი ნინო ბესელიასა და პაატა პაპავას თანაავტორობით 2011 წელს გამოცემულ მეთოდურ სახელმძღვანელოს მასწავლებელთათვის, **„წიგნიერება დაწყებით კლასებში"**,რომელშიც განხილულია მთელი რიგი საკითხები, თუ რას უნდა მიექცეს ყურადღება ბავშისათვის დაწყებით კლასში კითხვის სწავლების დროს. აქ აქცენტი გაკეთებულია იმაზე, თუ როგორ ავუმაღლოთ მოტივაცია ბავშვს, რათა მეტად მოხდეს მისი დაინტერესება კითხვით. აგრეთვე, ავტორები გვთავაზობენ ისეთ აქტივობებს, რომლებიც დაეხმარებათ პედაგოგებს მოსწავლეებში კითხვის უნარის გასაუმჯობესებლად. კერძოდ, ისინი გვირჩევენ,რომ მასწავლებელმა დრო დაუთმოს ხმამაღლა კითხვის აქტივობას, კითხვის პროცესში ურჩევენ ხმამაღლა ფიქრისა და დისკუსიის ელემენტების გამოყენებას.მოსწავლეთათვის რომ კითხვის პროცესი იყოს საინტერესო და არა მოსაბეზრებელი გვირჩევენ არ ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტებით. მოსწავლეებს წავუკითხოთ ტექტსები გაზეთებიდან,ჟურნალებიდან,მრავალფეროვანი წიგნებიდან.ტექსების შერჩევის დროს გავითვალისწინოთ მოსწავლეთა ინტერესები,თვითონ მოსწავლეებსაც მიეცეს ტექსტის შერჩევის საშუალება.(ბესელია ნ. პაპავა პ. 2016:30 „წიგნიერება დაწყებით კლასებში")

მრავალფეროვანი აქტივობებისა და მეთოდების გამოყენებას გვირჩევს ქეთევან ოსიაშვილი „სასწავლო პროცესის ძირითადი პრიორიტეტები დაწყებით კლასებში" ,ის ასევე გვესაუბრება „გაგრძელებითი კითხვის " ნაკლებ ეფექტიანობაზე.თუ რამდენად მოსაბეზრებელია ეს სტრატეგია ისეთი მოსწავლისათვის რომელსაც თავისუფლად შეუძლია კითხვა.ამითომ გვთავაზობს ამ სტრატეგიის პარალელურად

მოსწავლეებს შევთავაზოთ ისეთი აქტივობები,რომლებიც გააზრებული კითხვის უნარს ავითარებს.საუბრობს,თუ რამდენად მნიშვნელოვანია უმცროსი სასკოლო ასაკი გააზრებული კითხვის უნარის განსავითარებლად.გვირჩევს დაწყებით კლასებში განვუვითაროთ ბავშვებს ეს უნარი,რომელიც ზემოთ კლასებში ჰპოვებს განვითარებას . ,,თუ ჩვენ ამ შესაძლებლობას გავუშვებთ ხელიდან და არ გავაკეთებთ იმას,რისი გაკეთებაც საკმაოდ ადვილად შეიძლება ამ პერიოდში,ცოტა მოგვიანებით ძალიან გაგვიჭირდება იმის შეცვლა,რაც უკვე საკმაოდ მყარად იქნება ჩამოყალიბებული". (ოსიაშვილი ქ. 2013 „სასწავლო პროცესის ძირითადი პრიორიტეტები დაწყებით კლასებში") http://mastsavlebeli.ge/?p=2163

მოგეხსენებათ,ერთ კლასში მყოფი ბავშვები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ცოდნით,უნარებით,მეტყველების ტემპით. გავეცანი სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების კრებულს „კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე" ,სადაც საუბარია დიფერენცირებული სწავლების მიდგომებზე. დიფერენცირებული სწავლების როლი უმნიშვნელოვანესია კითხვის სწავლის პროცესში,რათა მოსწავლემ მაქსიმალურად შეძლოს თავისი შესაძლებლობების გამოყენება და მიაღწიოს საუკეთესო შედეგს.

ამავე სახელმძღვანელოშია საუბარი,თუ რა უზარმაზარი გავლენა აქვს მასწავლებლის მხრიდან მოსწავლის შეფასებას კითხვის სწავლის პროცესში."კითხვა კომპლექსური მოვლენაა და სკოლასა თუ კლასში გამოყენებული შეფასება სათანადოდ უნდა ასახავდეს კითხვის სწავლის ყველა მხარეს".(საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი, კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე I-VI კლასები .2015)

იმისათვის,რომ მოსწავლეებს გაუჩნდეთ კითხვის მოტივაცია და წიგნიერებისათვის საჭირო უნარები,მასწავლებელმა ხშირად უნდა გამოიყენოს საჩვენებელი კითხვა.კითხვის დროს მასწავლებლის მხრიდან დასმული შეკითხვები ტექსტის წაკითხვამდე და წაკითხვის შემდეგ,მოსწავლეებს დაეხმარება წაკითხულის გაგება-გააზრებაში.

ტექსტების შერჩევის დროს აუცილებელია გათვალისწინებული იყოს ტექსტის სირთულე,რათა მისმა სირთულემ არ გამოიწვიოს ბავშვებში იმედგაცრუება და დემოტივაცია. იმისათვის,რომ ბავშვს განუვითარდეს კითხვის უნარი ,აუცილებელია მას ხელი მიუწვდებოდეს მისი ასაკისათვის შესაფერის სხვადასხვა შინაარსობრივ და ჟანრობრივ ტექსტებზე.(საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი, კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე I-VI კლასები .2015)

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა და განხორციელებული ინტერვენციები კითხვის უნარის განვითარებისათვის, აუცილებლად უნდა დაფუძნებოდა მშობელთა მხრიდან დახმარებასაც, რაც გამოიხატა მათი მხრიდან, კითხვის კალენდრის შევსებაში და ბავშვის კითხვის დროის კონტროლში, წაკითხული გვერდების ზუსტად აღრიცხვის მიზნით.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიშისათვის გამოვიყენე „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ მიერ გამოცემული უახლესი შრომების კრებულნი , რომელშიც ავტორები, დარგის სპეციალისტები გვაწვდიან ინფორმაციას სწავლების მეთოდებსა და პედაგოგის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა ერთობლიობის შესახებ, რაც საჭიროა კითხვის უნარის განსავითარებლად. აგრეთვე,აქ მოცემულია სასწავლო პროცესში მშობლის აქტიურად ჩართულობის დადებითი მხარეები და ოჯახის როლი მოსწავლის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში.

„იმისათვის, რომ პედაგოგმა უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის ცოდნის ამაღლებაზე იზრუნოს, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მშობლის აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში. არსებობს სპეციალური სააღმზრდელო დამხმარე საშუალებები, რომლის თანახმადაც მშობელმა ხშირად უნდა შეაქოს ბავშვი. პირველი კლასის მოსწავლის სწავლება, იმდენად სენსიტიური თემაა, მშობლის დადებით ჩართულობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.“ (თავდგირიძე 2012:65-67)

PIRLS-2011 ადასტურებს მოსაზრებას,თუ რამდენად მნიშვნელოვანია ოჯახის,მშობლის როლი კითხვის უნარის განვითარებისათვის. ,,კითხვაში უფრო მაღალი მიღწევები აქვთ იმ მოზარდებს,რომელთა ოჯახებში წიგნის კითხვა მკვიდრი

ტრადიციაა,რომელთა მშობლებიც ცდილობენ,ბავშვები ადრეული ასაკიდანვე ჩააბან წიგნიერებასთან დაკავშირებულ აქტივობებში“.(კუტალაძე 2013:104)

სწავლების პროცესში ბავშვთა ფსიქოლოგიის გათვალისწინება აუცილებლად მივიჩნიე, რადგან თითოეული მოსწავლის არსებული კითხვის უნარის მიხედვით, მისთვის საინტერესო მხატვრული ნაწარმოების გათალისწინებითა და ბუნება - განწყობის ყურადღების მიქცევით შევიმუშავე მათზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების სტრატეგია, რათა მიმეღწია კლასის თითოეული მოსწავლის მაღალი აქტივობისათვის და კითხვის უნარის გაუმჯობესების მოტივაციის ზრდისათვის.

მანანა მელიქიშვილის ავტორობით გამოცემული წიგნი **„განვითარების ფსიქოლოგია“** დამეხმარა გამერკვია, დაწყებითი კლასის მოსწავლეთა რეალური მისწრაფებები და მათი ზედმიწევნით გათვალისწინებით დამეგეგმა სათანადო აქტივობები.იგი აღნიშნავს: „უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის აღქმა არასაკმარისად დანაწევრებულია, ამიტომ ამ ასაკის ბავშვი ხანდახან ურევს მსგავსი მოხაზულობის მქონე ასოებსა და ციფრებს (6-9; შ-წ). ამიტომ, აღქმის განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს, წერისა და კითხვის სწავლებისთვის.“ (მელიქიშვილი მ. 2018. „შუა ბავშვობა“)https://www.scribd.com/document/376344413

რამდენადაც უცხოურ გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს განვითარებადი ქვეყნებისათვის, დავინტერესდი კეროლ ჩეპმენისა და რიტა კინგის ქართულ ენაზე 2016 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოს **„ კითხვის სწავლების განსხვავებული სტრატეგიები სხვადასხვა საგანში“** მათ ამომწურავად და მკაფიოდ აქვთ განსაზღვრული კითხვის მნიშვნელობა და გვთავაზობენ მათ მიერ შემუშავებულ და აპრობირებულ პედაგოგიურ მეთოდებს კითხვის უნარის გასაუმჯობესებლად. სწორედ ამიტომ გადავწვიტე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და მისით მოქმედება ინტერვენციის განხორციელებისას. კეროლინ ჩეპმენი და რიტა კინგი კითხვის უნარების შესაძენად გასატარებელ ღონისძიებებზე , ხაზგასმით განარჩევენ შემდეგ სტადიებს, რომელიც მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს: ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;ჩარევა;ცოდნის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება;(ჩეპმენი, კინგი 2016: 9-10)

ჯენი ელის ორმროდის 2016 წელს ქართულად ნათარგმნი წიგნი **„ადამიანი და სწავლა“** რომელიც, გვიქმნის ნათელ წარმოდგენას იმაზე, თუ რა გარემო თუ ფსიქოლოგიური ფაქტორებია დაკავშირებული სწავლასთან, რომელნიც უცილობლად უნდა გაითვალსიწინოს პედაგოგმა. უახლესი მეთოდების გაანალიზება და თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინება ამომავალი დებულებაა მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის დადგეგმვის დროს. ავტორი ახასიათებს აქტიურ და მონდომებულ პედაგოგს და დასძენს მშობელთა სასწავლო პროცესში ჩათულობის დადებით მხარეებს. ,,მიზანდასახული მასწავლებელი ახერხებს მშობელთა ჩართვას სასწავლო პროცესში და აკავშირებს ოჯახსა და სკოლას, რათა უზრუნველყოს მოსწავლეთა პოზიტიური სოციოემოციური განვითარება ყველა ბავშვისთვის.“(Ormrod 2016:228-229)

ირინა სამსონია წიგნში „წიგნიერება“ გვესაუბრება თავისუფლად კითხვის შესახებ. იმისათვის,რომ მოსწავლემ შეძლოს სიტყვების ავტომატურად ამოკითხვა, დეკოდირებს გარეშე მან უნდა იკითხოს რაც შეიძლება ბევრი.“კითხვაში ჩამორჩენილ მოსწავლეებს ხშირად სწორედ თავისუფლად კითხვის პრობლემა აქვთ.სწორად და ავტომატურად კითხვის უნარი პირდაპირ კავშირშია სწავლასთან, კერძოდ,წაკითხულის გააზრებასთან.“(სამსონია ი.2013:17-18,,წიგნიერება“)

თავი II საკვლევი საკითხის შესწავლა და კვლევის მეთოდები

2.1 კვლევის მეთოდები

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის კონტექსტში შევარჩიე შემდეგი მეთოდები:

თვისებრივი კვლევის მეთოდი, რადგან კვლევის ფარგლებში მაინტერესებდა მოსწავლეთა ინდივიდუალური ქცევა. ამ მეთოდოლოგიის ფარგლებში გამოვიყენე ფოკუს ჯგუფი და დაკვირვების მეთოდი. ფოკუს ჯგუფი მშობლების სახით დამეხმარა საკვლევი პრობლემის მეტად იდენტიფიცირებასა და აღმოფხვრაში, ხოლო შემდგომ უკვე ინტერვენციის შედეგის შეფასებაში.

შესაბამისად, შევძელი ადეკვატურად მეპასუხა კვლევის მიზნებისათვის. ასევე ფოკუს ჯგუფმა მომაწოდა ის ინფორმაცია, რაც უაღესად გამოსადეგი აღმოჩნდა

ჩემთვის. კონკრეტულად კი, ვნახე თუ რამდენ დროს უთმობდა ბავშვი სახლში კითხვას და გადავხედე ამ მაჩვენებლის დინამიკას. დავფიქრდი, თუ რა უნდა მომემოქმედებინა, რომ ბავშვებში კითხვის მოტივაცია ამემაღლებინა.

დაკვირვების მეთოდი მნიშვნელოვანი და ერთ - ერთი ძირეული გახლდათ კვლევის განხორციელების თითოეულ ეტაპზე. დაკვირვება საუკეთესო გამოსავალი იყო იმისათვის, რომ დამედგინა მათი კითხვის უნარის დონე. გარდა ამისა, ყველა ბავშვი ერთნაირად ვერ ითვისებს კითხვას.

პირველ ეტაპზე, აღმოჩნდა, რომ კითხვის უნარის განვითარებისათვის, სათანადო ლექსიკური მარაგის უქონლობა გახლდათ მოსწავლეებში მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი. ტექსტის თემატიკის უცოდინრობა, სავსებით არის ის კონკრეტული მიზეზი, რაც ბავშვს აფერხებს კითხვის უნარის განვითარებაში. წაკითხულის გასააზრებლად ბავშვს უნდა ჰქონდეს სათანადო საბაზისო ცოდნა.

მეორე ეტაპზე გამოიკვეთა, რომ სამეტყველო აქტივობის დონის ასამაღლებლად, საჭირო იყო, ისეთი ტიპის სავარჯიშოების შედგენა/მოფიქრება, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარებოდა სიტყვების სწორად გამოთქმაში. დეკოდირებასთან დაკავშრებული პრობლემის აღმოფხვრა, შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს გადავიდეს წაკითხულის გააზრება/გაგების ეტაპზე.

დაკვირვების **მესამე ეტაპზე** აღმოვაჩინე, რომ დამარცვლით სიტყვის წარმოთქმა უძნელდებოდა ზოგიერთ მოსწავლეს და საჭიროებდნენ ამ მხრივ ინტენსიურ დატვირთვასა და მზადებას.

მეოთხე ეტაპზე გამოიკვეთა კითხვასთან დაკავშრებული შემდეგი პრობლემა, მოსწავლეები ტექსტს ხმამაღლა წაკითხვას კი ახერხებდნენ, მაგრამ უჭირდათ მისი შინაარსის გაგება.

მეხუთე ეტაპმა დამანახა, რომ ზოგიერთმა მოსწავლემ ხმამაღლა წარმოთქმული ბგერების კომბინაცია ვერ დაუკავშრა მის წერით შესატყვისს. ანუ აღმოჩნდა, რომ ბავშვს არ აქვს უნარი სამეტყველო ნაკადში გამოყოს ბგერები და სიტყვები (ფონოლოგია.) ამის აღმოსაფხვრელად გამოვიყენე **სინთეზური** და **ანალიტიკური მეთოდი**, რაც გამოიხატებოდა სიტყვის ბგერებად დაშლისა და ბგერების სიტყვაში

გაერთიანების უნარის დახვეწის მიზნით გაკეთებულ სავარჯიშოებში. ეს სავარჯიშოები მოსწავლეს აძლევს საშუალებას სამომავლოდ შეძლოს იმის დადგენა, თუ როგორ გამოითქმის სიტყვა და როგორია ამ სიტყვაში ბგერების თანმიმდევრობა. თანაც, ფონოლოგიური უნარების ქონაა საჭირო ანბანის შესასწავლად და ასო-ბგერების ცნობის დასასწავლად. სააზროვნო უნარის განმავითარებელი სავარჯიშოები ბავშვს კითხვის უნარის გაუმჯობესების საშუალებას აძლევს, შესაბამისად. ჩემ მიერ, კითხვის სწავლების ფონოლოგიური მიდგომის არჩევა, არ გახლდათ შემთხვევითი, რაშიც სინთეზური მეთოდის გამოყენება დამეხმარა. სინთეზს დიდი მნიშვნელობა აქვს. მის საფუძველზე ობიექტებში გამოყოფილი ცალკეული ნიშნები ერთიანდება მთლიან შინაარსად. ცნების შინაარსი ჯამი კი არ არის თვისებებისა, არამედ ერთი აზრი, რომელშიც აბსტრაქტული ნიშნები ერთიანდებიან სინთეზის საშუალებით. სინთეზის ოპერაციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა გამეკეთებინა **ინდუქციური** დასკვნა – ცალკეული ფაქტებიდან, ცდომილებებიდან გარკვეული თეორიული მოდელის შედგენა. ნაბეჭდ ტექსტთან მუშაობისათვის, ბავშვებს სათანადო მზაობა უნდა გააჩნდეთ,აქედან გამომდინარე, საჭიროებენ მიზანმიმართულ სავარჯიშოებს, რომ შემდგომ უკეთ შეძლონ მისი წაკითხვა/ გაგება/გააზრება.

ზუსტი და უშეცდომო კითხვის უნარის განვითარება, ამომავალი დებულება არის დეკოდირების პროცესში. შესაბამისად,სინთეზური მეთოდი ამის განხორციელების საშუალებას მაძლევს, სხვადასხვა ფორმის შერწყმისა და ერთი სავარჯიშოს შესრულებით, პრობლემის შემადგენელი რამდენიმე კომპონენტის აღმოსაფხვრელად.

კითხვის პროცესში დაკვირვება მეხმარებოდა თითოეული ბავშვის მაჩვენებლები გამეკონტროლებინა, ვის რომელ მონაკვეთში ესაჭიროებოდა მიშველება და სათანადო ცოდნის მიღება, ცხადია, ჩემ მიერ არჩეული ეს მეთოდი რთული და შრომატევადი იყო, მაგრამ მოსალოდნელი შედეგის მისაღებად, ჩემი პირველკლასელებისათვის კითხვის უნარის განსავითარებლად ყოველგვარი შრომა გამართლებულად და ნაყოფიერად მიმაჩნია. **მონოგრაფიულმა გამოკვლევამ** (შემთხვევის შესწავლამ) უკეთ გამაანალიზებინა, ბავშვებში არსებული ფონეტიკური

პრობლემების აღმოფხვრის გზები. ამით შესაძლებლობა მომეცა გრაფიკულად გამომესახა მიღებული მოსაზრებები/იდეები, მიგნებები და შედეგები. **რაოდენობრივი მეთოდი** გამოვიყენე სტრუქტურირებული კითხვარის შესადგენად - რაც უაღრესად დამეხმარა, როგორც რეალურად შემეფასებინა ინტერვენციამდე არსებული მდგომარეობა, ისე მომეხდინა მიღებული შედეგების ანალიზი. ინტერვენციამდე არსებული მდგომარეობის დეტალური ცოდნა, მნიშვნელოვანი ინდიკატორი გახლდათ ჩემთვის, რადგან კვლევის ჭრილში აუცილებელი იყო დამედგინა, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის მოსალოდნელი შედეგები, განხორციელებული აქტივობებისა და ინტერვენციების ფონზე. ასევე, რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, მოსწავლეთა მშობლების მიერ კითხვებზე დაფიქსირებული სავარაუდო პასუხები დავითვალე და შევაჯამე.

სტატისტიკური ანალიზის მეთოდი - დამეხმარა მიღებული შედეგების თავმოყრასა და გაანალიზებაში. ამ მეთოდს ვიყენებდი ინტერვენციის განხორციელების შუალედებში, სათანადო აქტივობების მსვლელობათა ინტერვალებში, რამაც უკეთ დამანახა რეალური სურათი, სწორი მიმართულებით მივდიოდი თუ არა. მოგეხსენებათ, მართებული კითხვის უნარის განვითარების მეთოდოლოგიის შემუშავება, მის სათანადო აპრობირებას ითხოვს და მეთოდს შედეგი ვერ ექნება, თუ მოსწავლეებს ცვლილებები არ ეტყობათ. ამ მეთოდის მეშვეობით, შევძელი გამეკეთებინა ერთგვარი ექსკურსი ინტერვენციამდე არსებულ მდგომარეობასა და ინტერვენციის შემდგომ არსებულ სიტუაციას შორის. შესაბამისად, გამოიკვეთა ის კონტურები, რომლებმაც დამანახა სხვაობა პირვანდელ მდგომარეობასა და ამჟამინდელს შორის. საბოლოო ჯამში, მომცა შესაძლებლობა შემეჯამებინა გრაფიკული გამოსახულებებით აღნიშნული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა. დიაგრამის სახით გამომესახა პირვანდელი მდგომარეობა, აღმენიშნა გამოვლენილი მიგნებები და შემემუშავებინა საჭირო რეკომენდაციები.

დიაგნოსტიკური შეფასების მეთოდით შევძელი მშობელთა და პედაგოგთა გამოკითხვის შედეგად გამომეკვეთა კითხვის უნარის განვითარებისათვის აღმოსაფხვრელი პრობლემები, მათ შორის უმთავრესია ფონოლოგიური ხასიათის პრობლემები. აგრეთვე, დაკვირვების პროცესში ძლიერი და სუსტი მხარეების

გამოსავლენად გამოვიყენე დიაგნოსტიკური შეფასების მეთოდი. დიაგნოსტიკური ტესტები დამეხმარა პრობლემის იდენტიფიცირებაში და მის აღმოსაფხვრელად გატარებული ღონისძიებების შედეგის შემოწმებაში.

2.2 ფოკუს ჯგუფის განსაზღვრა

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის ფოკუს ჯგუფს წარმოადგენენ მშობლები, რომლებიც დამეხმარნენ ინტერვენციამდე და მისი შედეგების ობიექტურ შეფასებაში. შემთხვევითი არ გახლდათ მშობლების ჩართვა მოსწავლეთა სასწავლო პროცესში. გავიზიარე ორმროდისა და სხვადასხვა ავტორთა მოსაზრება მშობელთა და ოჯახის დიდი როლის შესახებ მოსწავლის აკადემიურ მაჩვენებლებზე, აუცილებლად მივიჩნიე მშობლებისათვის კითხვის კალენდრის გამოყენება.

2.3 კვლევის სამიზნე ჯგუფის განსაზღვრა

იქიდან გამომდინარე, რომ გახლავართ დაწყებითი კლასის პედაგოგი და ამჟამად ვასწავლი ქართულ - ამერიკული სკოლის პირველ კლასს, კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ პირველი კლასის მოსწავლეები. სწორედ ჩემი მოსწავლეების კითხვის უნარების ამაღლებისა და განვითარების სტადიებს ვაკვირდებოდი ამ ექვსი თვის მანძილზე მონდომებითა და გულისყურით.

2.4 მშობელთათვის კითხვის კალენდრის გაცნობა

განვსაზღვრე რა,მშობლები ფოკუს ჯგუფის წევრებად, მათ გავაცანი შესაბამისი „კითხვის კალენდარი“, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება:

კლასი: I

მოსწავლე _____

- **საყვარელი ზღაპრის პერსონაჟი:** _____
- **საყვარელი ანიმაციური ფილმის პერსონაჟი:** _____
- **საყვარელი ფერი:**_____
- **საყვარელი ცხოველი:**_____
- **საყვარელი თამაში:** _____

- **რა არ მიყვარს ყველაზე მეტად: _____**
- **რას ვიზამდი ჯადოსნური ჯოხი რომ მქონდეს: _____**

„ვისაც წიგნის კითხვა უყვარს,მას მუდამ გვერდით ჰყავს ერთგული მეგობარი,მხიარული თანამოსაუბრე,ბრძენი მრჩეველი და დამრიგებელი“.

ისიდორ ბაროუ

კითხვის უნარის დახვეწის მიზნით და კითხვისადმი ინტერესის გასაძლიერებლად რამდენიმე სტრატეგია შევიმუშავე. ტრადიციულად ყველაფერი კითხვის დიაგნოსტიკური ტესტირებით დავიწყე. კარგ მკითხველად ჩამოყალიბებისთვის, მნიშვნელოვანია ეს პროცესი შინაც გაგრძელდეს, რომ კითხვა ჩვენი ბავშვების ცხოვრების წესად იქცეს. სწორედ ამიტომ შევიმუშავე „კითხვის კალენდარი“, რითაც შესაძლებელი ხდება შინ კითხვის მონიტორინგი. თქვენს თანამშრომლობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

1. გთხოვთ, გააკონტროლოთ, რომ თქვენმა შვილმა ყოველდღიურად იკითხოს სულ ცოტა 15 -20 წუთი;
2. ყოველდღიურად შეავსეთ ქვემოთ მოცემული გრაფა:

(ცხრილის შევსების ინსტრუქცია)

თარიღი	**წიგნის დასახელება**	**წუთების რაოდენობა**	**გვერდების რაოდენობა**	**მშობლის ხელმოწერა**
წერთ იმ თარიღს, როდესაც ბავშვი კითხულობს ტექსტს.	ჩაწერეთ ის წიგნი, რომელსაც კითხულობს ბავშვი.	დაწერეთ წუთების რაოდენობა, რამდენ ხანსაც იკითხა ბავშვმა.	ჩაწერეთ, რამდენი გვერდიც წაიკითხა.	ხელმოწერით დაადასტურეთ, რომ ცხრილში შეტანილი ინფორმაცია რეალურია.

თარიღი	**წიგნის დასახელება**	**წუთების რაოდენობა**	**გვერდების რაოდენობა**	**მშობლის ხელმოწერა**

2.5 კვლევის მოსალოდნელი შედეგი

1. ამომწურავად დავადგენ პირველ კლასში კითხვის უნარის შეძენასთან დაკავშრებულ თითოეულ მიზეზს.

2. კვლევის შედეგად გამოვავლენ თუ რა სახის მეთოდები, აქტივობები და მიდგომები შემიწყობს ხელს დავეხმარო ჩემს პირველკლასელებს კითხვის უნარის გაუმჯობესებაში.

3. ჩემ მიერ გამოყენებულ საგაკვეთილო სტილს და ლექსიკის ასამაღლებელ ღონისძიებებს გავიმეორებ წრეობრივი მეცადინეობის დროს,ასევე ბიბლიოთეკაში, რათა მოსწავლეებმა მოახერხონ დასწავლა.

4. ვიმედოვნებ, ჩატარებული ინტერვენციები და აქტივობები დაეხმარება მოსწავლეებს მაქსიმალურად განუვითარდეთ კითხვის უნარი და აღმოეფხვრათ ფონეტიკური პრობლემები.

5. მიღებულ შედეგს გავუზიარებ დაწყებითი კლასების კათედრის პედაგოგებს და არა მხოლოდ.

2.6 კვლევის შეზღუდვები

მინდა აღვნიშნო, რომ კვლევის პროცესში არანაირი შეზღუდვა არ მქონდა, მშობლებიც და სკოლის ადმინისტრაციაც მეხმარებოდა ინტერვენციის განხორციელებასა და მისი წინარე და შემდგომი პერიოდის შეფასებაში.

2.7 კვლევის ვადები

აქტივობები 2018-2019		დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
1.	საკვლევი საკითხის შერჩევა, სამიზნე ჯგუფის განსაზღვრა	✓					
2.	კლასში არსებული კითხვის პრობლემების შეფასება კათედრის ხელმძღვანელის მიერ	✓					
3.	გეგმის შემუშავება		✓				
4.	პედაგოგისათვის კითხვარი კითხვის უნარის შესაფასებლად	✓					
5.	ლიტერატურის მიმოხილვა		✓	✓			
6.	ფოკუს ჯგუფის განსაზღვრა		✓				
7	კითხვის კალენდრის შედგენა		✓				
8.	ანალიზი			✓			
9.	დაკვირვება		✓				
10.	დაკვირვების შედეგების ანალიზი			✓			
11.	ინტერვენციებში გამოსაყენებელი მეთოდოლოგიის შერჩევა			✓			
12.	ინტერვენციების განხორციელება	✓	✓	✓	✓		
13.	ინტერვენციის შედეგების ანალიზი					✓	
14.	კვლევის ანგარიშის მომზადება						✓

თავი III ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება

3.1 ინტერვენციამდე გამოკითხვის პასუხების ანალიზი

საკვლევი პრობლემის იდენტიფიცირების მიზნით, დიაგნოსტიკური ტესტების მოსწავლეთა მიერ შესრულების, შეფასება ვთხოვე კათედრის ხელმძღვანელს, რომელიც გვესწრებოდა ტესტირების დროს, მის მიერ შევსებული კითხვარის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი საკითხები.

№	მოცემული კითხვა	სავარაუდო პასუხები (კი, არა, ნაწილობრივ)		
1	მოსწავლეებმა შეძლეს ასოების გამთლიანება მარცვლებად/მარცვლების სიტყვებად			ნაწილობრივ
2	მოსწავლეებს გამომუშავებული აქვთ ზეპირად წარმოთქმული სიტყვის ბგერებად დანაწევრებისა და გამოთქმის უნარი			ნაწილობრივ
3	მოსწავლეებს გამომუშავებული აქვთ არეული თანმიმდევრობით მოცემული ასოების იდენტიფიცირებისა და შესაბამის ბგერასთან მისადაგების უნარი			ნაწილობრივ
4	მოსწავლეებს შეუძლიათ ერთმანეთთან დააკავშირონ ტექსტში მოცემული ინფორმაცია და ილუსტრაცია	კი		
5	მოსწავლეებმა შეძლეს ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა			ნაწილობრივ
6	მოსწავლეებს გამომუშავებული აქვთ ლექსიკური ერთეულის გაგებისა და კონტროლით გათვალსიწინებით სწორად გამოყენების უნარი			ნაწილობრივ
7	მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიტანონ დასკვნა ნაწარმოებში წამოწეულ ზნეობრივ მორალურ საკითხებზე/თემებზე (მაგ. სიზარმაცე ცუდია, უნდა იყო მეგობრული...)	კი		
8	მოსწავლეებს შეულიათ დამოუკიდებლად გაიგონ მარტივი ენით დაწერილი სამ ან ოთხს საფეხურიანი ინსტრუქცია			ნაწილობრივ
9	მოსწავლეებს შეუძლიათ ერთმანეთთან დააკავშირონ ტექსტში მოცემული კონკრეტული ინფორმაცია			ნაწილობრივ
10	მოსწავლეები ვერბალური და არავერბალური ტექსტებით გადმოცემულ ამბავს უკავშრებენ საკუთარ გამოცდილებას	კი		

აქედან გამომდინარე, გადავწყვიტე საგაკვეთილო პროცესში აქცენტი გამეკეთებინა კითხვის უნართან დაკავშირებულ უმთავრეს საკითხზე, ფონოლოგიური პრობლემების აღმოფხვრაზე, მშობელთა დახმარებით მომეხერხებინა ბავშვების კითხვის კონტროლი. მათთვის სწრაფი კითხვის უნარის გამოსამუშავებლად,საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ, წრეობრივი მეცადინეობისა დროს ძალ - ღონეს არ ვიშურებდი შემეყვარებინა ბავშვებისათვის კითხვა, დამეინტერესებინა ისინი სხვადასხვა ზღაპრითა და მოთხრობით, რათა სახლში უფრო ხანგრძლივად კითხვა მონდომებოდათ. ფოკუს ჯგუფის მიერ, ჩემს

შემთხვევაში მშობლების მოწოდებული, შევსებული კითხვარიდან გამოიკვეთა ინტერვენციამდე არსებული რიგი ნიშანდობლივი და ყურადსაღები საკითხები. (**დანართი 1**)(დიაგრამა №1)



შესაბამისად, გამართლებული გახლდათ ჩემი ინტერესი, ბავშვებს სახლშიც დაეთმოთ კითხვისათვის დრო, რათა უკეთესი შედეგი მიმეღო მათთვის კითხვის უნარის განვითარების პროცესში. ასევე, აღმოჩნდა, რომ მოსწავლეების ნახევარი არ კითხულობდა კლასგარეშე ლიტერატურას სახლში, რაც მნიშვნელოვანი დაბრკოლება გახლდათ კითხვის უნარის განვითარებისათვის.

(იხილეთ დიაგრამა №2)



ინტერვენციის განხორციელებისათვის მშობელთა მიმართ თხოვნა გახლდათ ბავშვებს სახლში ეკითხათ 15 - 20 წუთის ხანგრძლივობით, რაზეც მშობელთაგან ერთხმად მივიღე დადებითი პასუხი. ისინი მოხარულნი დარჩნენ მსგავსი სახის აქტივობის დაგეგმვით და მასში მონაწილეობის მიღებით. ჩემი პედაგოგიური

პრაქტიკის კვლევისათვის მნიშვნელოვანი გახლდათ მათი აქტიური ჩართულობა, რასაც ნამდვილად მივაღწიეთ.

ვიდრე მშობლები კითხვარის შედეგებს მთლიანად მომაწვდიდნენ,ყოველდღიურად ვაწარმოებდი კვლევის ფარგლებში ჩანაწერებს და ვაფიქსირებდი თითოეული მოსწავლის კითხვის უნარის მაჩვენებელს.

3.2 ინტერვენციის განხორციელება

ჩვენს სკოლაში მოსწავლეები იმყოფებიან დილის 9:00 საათიდან 16:45 საათამდე. მასწავლებლებს გვაქვს იმის ფუფუნება,რომ მოსწავლეებთან შევძლოთ დამატებითი მუშაობა. დღის მეორე ნახევარში დავგეგმე წრეობრივი მეცადინეობა ისეთი მრავალფეროვანი აქტივობებით და მეთოდების გამოყენებით ,რომ მოსწავლეთათვის სწავლის პროცესი არ ყოფილიყო დამღლელი,არ მობეზრებოდათ ერთი და იმავე აქტივობის ყოველდღიური გამეორება. მოსწავლეებთან ვმუშაობდი როგორც ფონოლოგიური უნარების გასაუმჯობესებლად, ასევე პარალელურად მთელ კლასთან კითხვის უნარის დახვეწის მიზნით და კითხვისადმი ინტერესის გასაძლიერებლად . შევიმუშავე რამდენიმე სტრატეგია, მოსწავლეები შეეჩვივნენ სკოლის ბიბლიოთეკაში სტუმრობას,თავიანთი სურვილით შეარჩიეს წიგნები და მონდომებითა და ინტერესით ჩაერთნენ კითხვის პროცესში.ბავშვებს მოსწონდათ ბიბლიოთეკით სარგებლობა და სისტემატურად სარგებლობდნენ.

კითხვის უნარის დახვეწის მიზნით და კითხვისადმი ინტერესის გასაძლიერებლად, მნიშვნელოვანი იყო ეს პროცესი შინაც გაგრძელებულიყო და ბავშვის ცხოვრების წესად ქცეულიყო. ამიტომ გამოვიყენე ახალი სტრატეგია "კითხვის კალენდარი", რითაც შესაძლებელი გახდა შინ კითხვის მონიტორინგი. მშობელთა თანხმობით (კითხვარის შევსებით). იმისათვის, რომ მომეხდინა იმის დადგენა, თუ ინტერვენციის ფარგლებში რამდენ დროს უთმობდნენ ბავშვები სახლში კითხვას და ეს ინფორმაცია ყოფილიყო ზუსტი, კითხვის კალენდარი დამეხმარა რეალობის სწორად შეფასებაში. მოსწავლეები თებერვლის თვიდან დაწყებული კითხულობდნენ მათთვის სასურველ

მოთხრობებსა და ზღაპრებს. წინა დღით წაკითხულს,მეორე დღეს ერთმანეთს უყვებოდნენ ჯგუფებში,ხდებოდა წაკითხულის გაანალიზება.

მოტივაციის ასამაღლებლად, ვამოწმებდი კითხვის კალენდარს, რომელზეც მშობელს ჰქონდა მითითებული დრო,თუ რამდენი წუთის განმავლობაში კითხულობდა ბავშვი და თითოეულ მოსწავლეს ვაქებდი,ვაძლევდი სიტყვიერ, განმავითარებელ კომენტარს.

მოსწავლეთა მიერ წაკითხული ტექსტის სირთულის დასადგენად შესაბამისი სახელწოდებების მითითება იყო მნიშვნელოვანი, შედეგად განვსაზღვრე რომელ მოსწავლეს რა ტიპის ნაწარმოები იზიდავდა და აინტერესებდა, რათა მსგავსად შემედგინა საკლასო აქტივობა. აღმოჩნდა, რომ ბავშვების უმეტესობას ჰქონდათ საერთო ინტერესები და მონდომებით კითხულობდნენ „პიტერ პენს“, „ალადინს“, „პინოქიოს“, „რატატუის“, „ქალაქელი და სოფლელი თაგვი“. აქვე ნიშანდობლივია, რომ ზოგიერთ ბავშვი ისეთ რთულ ტექსტსაც შეეჭიდა, როგორიცაა „სათაგური“ მსგავსი სირთულის ტექსტის წაკითხვა უფროსკლასელებსაც უჭირთ.

კონკრეტული ინტერვენცია ემსახურებოდა სპეციალურად მისით აღმოსაფხვრელ პრობლემას,ამ პრინციპით შევარჩიე სათანადო აქტივობები. როგორც ეროვნული სასწავლო გეგმა ადგენს: **ქართ. დაწყ.(I).6.**

- მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.
- სიტყვებში გამოყოფს და წარმოთქვამს მარცვლებს.

1. აქტივობის მიზანი: ფონოლოგიური უნარების განვითარება.

აქტივობების განხორციელების დრო - 2018 წლის დეკემბერი

აქტივობა - მოსწავლეს ვაჩვენებ სურათს ან საგანს და ვეკითხები, ეს რა არის? მითხარი დამარცვლით. მოსწავლეები ჩემთან ერთად დამარცვლიან სიტყვებს.

აქტივობა შევასრულე ჯერ მთელი კლასის მონაწილეობით, შემდეგ გავიმეორე ინდივიდუალურად. ამ ტიპის აქტივობებს მუდმივად მივმართავდი და ორიენტირებული გახლდით თითოეულ მოსწავლეზე.

2. აქტივობის მიზანი: ნაცნობ ასოებს ამთლიანებს მარცვლებად, მარცვლებს - სიტყვებად. აქტივობას ვახორციელებდი მარტივი ქარგის გამოყენებით.

მოსწავლეებს უნდა გაემთლიანებინათ ჩემ მიერ ნაკარნახევი ბგერებად დაშლილი სიტყვა. (**დანართი2**) ასე თამაშ - თამაშითა და მხიარულად წარვმართავდი საგაკვეთილო პროცესს, თუმცა მობილიზებული ვიყავი სუსტი მოსწავლეების კითხვის უნარის განვითარებისათვის საჭირო უნარ - ჩვევების გამომუშავებაზე. ვახალისებდი მათ და ვუჩენდი სიახლეების დასწავლის სურვილს. კლასის თითოეული მოსწავლე ცდილობდა პირველს მას წარმოეთქვა დამარცვლილი სიტყვა გამთლიანებულად.

3. შემდეგი აქტივობის სქემა იხ. (**დანართი №3**), აქტივობა ემსახურებოდა მოსწავლეებისათვის სიტყვების ბგერებად დაშლისა და ბგერების სიტყვებად გაერთიანების, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ჩემი მოსწავლეები დავსვი ჩემთან ერთად წრიულად და შემდეგომ ამისა დავიწყე ინტერვენციისათვის საჭირო აქტივობის შესრულება.
4. მომდევნო აქტივობაც სიტყვის ბგერებად დაშლას ეხებოდა:

ყველა ბავშვს დავურიგე ორ - ორი ცალი „საიდუმლო“ სურათებიანი ბარათი, რომელსაც მოსწავლეები მხოლოდ თვითონ ნახულობდნენ.თითოეული ბავშვი ბგერა - ბგერა შლიდა ბარათზე გამოსახულ სიტყვას და ეუბნებოდა კლასს. დანარჩენი მოსწავლეები იცნობდნენ სიტყვას. ამასთან, გამოვიყენე სახალისო ფიზიკური აქტივობა სიტყვის ბგერებად დაშლისათვის. მოსწავლეები სიტყვის თითოეული ბგერის წარმოთქმისას თანმიმდევრულად იდებდნენ ხელებს თავზე ,მხრებზე, მუცელზე და მუხლებზე. აქტივაციის განმეორებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა დამახსოვრებისათვის.

5. ინტერვენციის მომდევნო საფეხური გაწაფული კითხვის უნარის განვითარებას ეხებოდა.

მოთხოვნა	ქართ. დაწყ.(I).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.
აღწერილობა	➢ მოსწავლე თავისუფლად ცნობს ხშირად გამოყენებული სიტყვის ორთოგრაფიულ ხატს;
აქტივობის მიზანი	მითითებული ნახატის შესაბამისი სიტყვის პოვნა.

განხორციელების დრო	2018 წლის დეკემბერი

მოსწავლეებს დავურიგე სიტყვათა ჩამონათვალი და (ამოსაკითხი/სამიზნე) სიტყვის შესაბამისი ნახატი. მოსწავლემ ჯერ დაასახელა რა ეხატა და შემდეგ იპოვა და ხაზით დააკავშირა მისი შესაბამისი სიტყვა სიტყვათა ჩამონათვალში. მაგალითად, ფურცელზე ეწერა ლომი, ღორი, ზებრა, ირემი. ხოლო დაფასთან გამოფენილ სურათზე ეხატა ლომი. მომდევნო მოსწავლეს სხვა ბარათი ჰქონდა და ა.შ. ვის რას სიტყვების ჩამონათვალი ჰქონდა წინასწარ ვიცოდი და გამიზნულად დავურიგე, რათა უკეთ დავკვირვებოდი რამდენად გაართმევდა თავს მოსწავლე იმ კონკრეტული სიტყვების ჩამონათვალს. ერთ - ერთი გამოსახულების ნიმუში იხ.**(დანართი4)**

6. მომდევნო აქტივობა დავგეგმე კითხვისათვის აუცილებელი ელემენტების შესწავლის მიზნით. ცხადია, თუ მოსწავლემ ანბანის ასოების ცნობა არ იცის და მათი სათანადო წარმოთქმა, გაუჭირდება კითხვა და შესაბამისად მისი გააზრება, ამიტომ ორიენტირს წარმოადგენდა კვლავაც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, გათვლილი პირველკლასელ მოსწავლეებზე.

პროგრამის მოთხოვნა	ქართული ენა და ლიტერატურა დაწყებითი (I).6	
მოსწავლისათვის მოთხოვნილი მახასიათებელი	პოულობს მითითებულ ასოებს სიტყვათა ჩამონათვალში და ასახელებს	თავისუფლად კითხულობს ანბანის ყველა ასოს
აქტივობის მიზანი	ასოების ვიზუალური გარჩევა,ამოცნობა და დასახელება.	
აქტივობების განხორციელების დრო	2018 წლის დეკემბერი	

მოსწავლეებს დავურიგე შემდეგი სახის ტექსტები, რომლებშიც სპეციალურად დომინანტი ასო იყო მოსაძებნი, (დავალება მოიცავდა ნაპოვნი ასოს გაფერადებას) რათა უკეთ დაემსახსოვრებინა მოსწავლეს მისი გაფერადებით ანბანის ეს ასო. თითოეულ მოსწავლეს ინდივიდუალურად შედგენილი ტექსტი დავუდგინე, პირადი

დაკვირვების გათვალისწინებით, რადგან ვიცოდი თუ რომელი ასოს წაკითხვისას ფერხდებოდა თითოეული მათგანი კითხვის დროს. ჩემი ინდივიდუალური მიდგომა, ყველა ინტერვენციაში დავიცავი. მოსწავლეები ხალისით ეძებნდენ ასოებს და აქტიურად აფერადებდნენ. **(დანართი5)**

7.მომდევნო აქტივობა გათვლილი გახლდათ კვლავაც 2018 - 2024წწ ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი პირველკლასელთა კითხვის უნარებისათვის აუცილებელი, დამაკმაყოფილებელი მახასიათებლები, რომელიც მათ უნდა გააჩნდეთ სასწავლო წლის ბოლოს.

მოთხოვნა	ქართული ენა და ლიტერატურა, დაწყებითი საფეხური.(I).6
აღწერილობა	ხმამაღლა (მთლიანი სიტყვებით ან დამარცვლით) კითხულობს და იგებს მარტივი წინადადებებით შედგენილ მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის ტექსტებს;
	ხმამაღლა კითხვისას სწორად მონიშნავს წინადადების საზღვრებს ტექსტში, იცავს პაუზას;
	ცდილობს სათანადო ინტონაციით გამოხატოს წინადადების მოდალობა (თხრობითი და კითხვითი წინადადებების)
აქტივობის მიზანი	მოსწავლეთა გავარჯიშება კითხვაში (კითხვის ტექნიკის დაუფლება);
	მოსწავლეთა გაწაფულად კითხვის უნარის შეფასება

აქტივობის აღწერა: მოსწავლეებს შევთავაზე მათთვის ნაცნობი და მარტივი სიტყვებისაგან შემდგარი ტექსტი,თუმცა სიტყვებს შორის მანძილი იყო საკმაოდ არაბუნებრივი და არათანაბარი. აქტივობის საფუძველზე შევაფასე,რამდენად შეუძლია მოსწავლეს თავისუფლად და შეუფერხებლად ტექსტის წაკითხვა, როდესაც სიტყვები გაფანტულადაა დაწერილი.**(დანართი6)**

8.აქტივობის მომდევნო საფეხურზე, მოსწავლეების მიერ კითხვის უნარის შეფასების მიზნით, მათ შევთავაზე პირველკლასელთათვის სრულიად უცნობი და გაუგებარი სიტყვებით შედგენილი წინადადებების წაკითხვა.**(დანართი7)**

9.შემდგომი ინტერვენცია, რომელიც აგრეთვე იანვრის თვეში განვახორციელე პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით პირველკლასელთათვის სავალდებულო მახასიათებლებს.

მოთხოვნა	ქართ. დაწყ.(I).6.	მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.
აღწერილობა	➢ სიტყვებს შლის ბგერებად, ბგერებს აერთიანებს სიტყვებად; ➢ თავისუფლად ცნობს ხშირად გამოყენებული სიტყვის ორთოგრაფიულ ხატს; ➢ თავისუფლად კითხულობს ნაცნობ სიტყვებს; ➢ თავისუფლად კითხულობს ანბანის ყველა ასოს; ➢ ხმამაღლა (მთლიანი სიტყვებით ან დამარცვლით) კითხულობს და იგებს მარტივი წინადადებებით შედგენილ მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის ტექსტებს; ➢ სიტყვებში გამოყოფს და წარმოთქვამს მარცვლებს, მარცვლებში – ბგერებს;	
აქტივობა	ერთობლივი კითხვა და მისი ვარიაციები	

სიმღერა ,,მზე და ცა“ , თავისი ტექსტით ამობეჭდილი გამოვაკარი დაფაზე. **(დანართი8)** ამ ტექსტს მოსწავლეები კითხულობდნენ ჩემთან ერთად. ბავშვები კითხულობდნენ ქოროში, ექოთი, მცირე ჯგუფებში. სიმღერაში გამოყენებული იყო მარტივი სიტყვები და ფრაზები, რომელთა აღქმა და შემადგენელ ნაწილებად დაშლა მოსწავლეებს არ უძნელდებოდათ. მოსწავლეები ენთუზიაზმით ერთვებოდნენ სიმღერის დასამუშავებლად წარმართულ აქტივობებში.

10.*ფონოლოგიური სავარჯიშო*- გამომდინარეობდა ამ სიმღერის ტექსტიდან - მოსწავლეებს დავუსახელე სიმღერის ტექსტიდან ამოღებული სიტყვები. მოსწავლეებმა ჩემ მიერ დასახელებული სიტყვები დაშალეს მარცვლებად და ბგერებად. სიმღერის ტექსტიდან ამოკრებილ სიტყვებს,რომლებიც მცირე ზომის ბარათებზე მეწერა,ვუკრავდი კედლებზე.მოსწავლეები ეძებდნენ ჩემ მიერ

მითითებულ სიტყვებს. **(დანართი9)** მოსწავლეები გადააჯგუფებდნენ სიტყვებს,რომლებიც იწყებოდა „მ“ „ე“ „ც“ „ ზ“ „ნ“ ასოებზე;

11.ამას მოჰყვება **აქტივობა - ტექსტის აწყობა/დაშლა (წინადადებებად, მარცვლებად, ასო - ბგერებად)** მოსწავლეებს დავურიგე თაბახის ფურცელზე დაბეჭდილი სიმღერის ტექსტის ნაწილები. მოსწავლეებმა სწორი თანმიმდევრობით დაალაგეს ბარათები.

12.მოსწავლეებს რომ შეძლებოდათ მთლიანი სიტყვის ამოკითხვა ვიყენებდი აქტივობას-სიტყვების მოძებნა(სნაიპერი).

აქტივობის განსახორციელებლად კლასს ვყოფდი სამ ჯგუფად.მათ ვუთითებდი კონკრეტულ სიტყვებს,მოსწავლეები წიგნებში,ბარათებზე ეძებდნენ ჩემ მიერ მითითებულ სიტყვებს და მოძებნის შემთხვევაში შემოხაზავდნენ ნაპოვნ სიტყვას.

გამართული, გაწაფული კითხვის ხელშესაწყობად ვიყენებდი ხმამაღალ კითხვას.

გუნდური კითხვა- მოსწავლეებთან ერთად ხმამაღლა ტექსტს ვკითხულობდი რამდენჯერმე. ტექსტი იყო საინფორმაციო ხასიათის, საგაზეთო სტატია სპორტულ მიღწევებზე ან ავტომობილების ახალ მოდელებსა და გამომგონებელ ბავშვებზე.

წყვილებში კითხვა - მოსწავლეებს ვაწყვილებდი ძლიერი - სუსტის პრინციპით და მოსწავლეებს ტექსტს ვაკითხებდი ერთად ხმამაღლა. აქაც ვიყენებდი საინფორმაციო ხასიათის ტექსტებს, მაგალითად,ამონარიდებს, შეტყობინებას.

ინდივიდუალური კითხვა -ერთ მოსწავლეს ტექსტს ვაკითხებდი ხმამაღლა. შემდეგ ვაწყვეტინებდი მოსწავლეს ტექსტის კითხვას და სხვა მოსწავლეს ვაგრძელებინებდი კითხვას.(გაგრძელებებით წაკითხვა).

ბავშვებს ძალიან მოსწონდათ **კომიქსებში** მოცემული ტექსტის კითხვა, ტექსტს ნახატში ასახული ემოციური განწყობით კითხულობდნენ.

მოსწავლეებში კითხვის მოტივაციის გასაღვივებლად ვიყენებდი აქტივობა- „საჩვენებელ კითხვას“.(ტექსტის წაკითხვამდე და ტექსტის წაკითხვის შემდეგ ვსვამდი შეკითხვებს,ეს კი ეხმარებოდათ მოსწავლეებს ტექსტის გაგება-გააზრებაში).

წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების მიზნით, ვიყენებდი გამომცემლობა უსტარის მიერ („კითხვის გაკვეთილები") მოსწავლის რვეულში მოცემულ სქემებს.**(დანართი 11)**

დისკუსია ზღაპრის გმირთან- ზღაპრის წაკითხვის შემდეგ ვიყენებდი ამ სქემას, რომელიც მოსწავლეს წაკითხულის გააზრებაში და ზღაპრის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვაში ეხმარებოდა.(მოუწონებდა ზღაპრის პერსონაჟს საქციელს ან არა მისცემდა რჩევებს).

სათაური და ზღაპარი-მოსწავლე დაფიქრდებოდა ზღაპრის სათაურზე და მის სავარაუდო შინაარსზე.წაკითხვის შემდეგ მოსწავლე თავის ვარაუდებს და წაკითხულს ერთმანეთს ადარებდა.ამ სქემის გამოყენებით მოსწავლეს გააზრებული კითხვის ჩვევისკენ ვუბიძგებდი.

მოსწავლეებში კითხვის უნარის განსავითარებლად ძალიან დამეხმარა ვებ პორტალი ,,კარგი სკოლა"(http://kargiskola.ge) განთავსებული სერიული წიგნები. საკლასო ოთახში პროექტორისა და კომპიუტერის გამოყენებით,მოსწავლეებს ვაკითხებდი წიგნებს ჯგუფურად,წყვილებში, ინდივიდუალურად.აქ წიგნები დალაგებულია დონეების ,სირთულისა და ჟანრის მიხედვით ,რაც ძალზედ მნიშვნელოვანი იყო ჩემი მოსწავლეებისათვის,რადგან მათში არ იწვევდა კითხვისადმი მოტივაციის დაკარგვას.

მოსწავლეებში ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად ვიყენებდი გრაფიკულ სქემას „გონებრივი რუკა". ასევე აქტივობას „ჩამოწერე და განმარტე სიტყვები" (მოსწავლეებს ვყოფდი ორ გუნდად,ჩემ მიერ დასახელებული ასოს ან სურათის მიხედვით 3 წუთის განმავლობაში უნდა ჩამოეწერათ რაც შეიძლებოდა ბევრი სიტყვა.თითოეული გუნდის წევრი კითხულობდა სიტყვას და განმარტავდა).

3.3 ინტერვენციის შედეგების შეფასება

აქტივობების განხორციელების დროს, პერიოდულად მოსწავლეებთან ვიყენებდი მზა დიაგნოსტიკურ ტესტებს(ასო-ბგერების ცნობის ტესტი;სიტყვის ბგერებად დანაწევრების ტესტი;სიტყვის წაკითხვის ტესტი;ტესტები განთავსებულია ვებ

პორტალზე „კარგი სკოლა“ http://kargiskola.ge) .მათზე დაყრდნობით ვინიშნავდი მოსწავლეთა პროგრესს. თუ როგორ უმჯობესდებოდა მოსწავლეთა ფონოლოგიური უნარები. ერთ-ერთი დიაგნოსტიკური ტესტირების დროს,რომელიც განვახორციელე აპრილის თვეში შედეგების შესამოწმებლად დამესწრო კათედრის ხელმძღვანელი, რომელიც კმაყოფილი დარჩა მოსწავლეთა მიერ ნაჩვენები მაღალი შედეგებით.იხილეთ კათედრის ხელმძღვანელის მიერ შევსებული კითხვარი.**(დანართი 12)**

კითხვარის მიხედვით თორმეტივე მოსწავლემ შეძლო ასოების გამთლიანება მარცვლებად და მარცვლების სიტყვებად.ზეპირად წარმოთქმული სიტყვების ბგერებად დანაწევრება. კითხვის დროს სიტყვების სწორად და სწრაფად დეკოდირება.

მშობლეთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მოსწავლეთა ნახევარი კარგად კითხულობდა და გვერდების რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ სწრაფი კითხვით გამოირჩეოდნენ,მათ 30 წუთში 15 გვერდის წაკითხვა შეძლეს.აქ ისიცაა საგულისხმო, რომ მოსწავლეს შეუძლია ნახევარი საათი იკითხოს და არ დაეზაროს ან არ დაიღალოს. **გრაფიკი№1** ასახავს მოსწავლეთა შედეგებს მარტის თვეში(1მარტიდან-22მარტის ჩათვლით),როგორც მონაცემებიდან ირკვევა, მათ სისტემატურად იკითხეს სახლში და ყველაზე მცირე დრო 10 წუთია, ისიც ერთი მოსწავლის შემთხვევაში და ერთჯერადად, ხოლო დანარჩენი მოსწავლეების კითხვისათვის დათმობილი დროის რაოდენობას თუ შევაფასებთ, სტაბილურია და დინამიურობით გამოირჩევა. შესაბამისად, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს მცდელობებს დამეინტერესებინა ჩემი მოსწავლეები ბიბლიოთეკაში ვიზიტით სხვადასხვა სახის ლიტერატურით, მოჰყვა დამაკმაყოფილებელი შედეგი. მოსწავლეები დაინტერესდნენ კითხვით, რაც ინტერვენციამდე საერთოდ არ აინტერესებდათ, ხოლო მათმა კითხვისადმი ინტერესმა ინტენსიური ხასიათი შეიძინა.რამდენიმე მოსწავლე მაისის თვეშიც აქტიურად განაგრძობდა წიგნის კითხვას და ზაფხულშიც გეგმავენ და ირჩევენ წასაკითხ საინტერესო ლიტერატურას. მოსწავლეთა მიერ, სახლში სტაბილური კითხვის რეჟიმში მოქცევა სასიკეთოდ აისახა მათ კითხვის უნარზე, პირადი დაკვირვებით, მოსწავლეთა კითხვის

მახასიათებლები საგრძნობლად გაუმჯობესდა, ამ პერიოდში ისწავლეს მრავალი ახალი სიტყვა და გაიმდიდრეს ლექსიკური მარაგი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, სულხან-საბა ორბელიანის წიგნიდან „სიბრძნე სიცრუისა“ იგავ - არაკებით დაინტერესება, ეს შემეცნებითი არაკები საკმაოდ აზრობრივად დატვირთული და უცხო სიტყვებით სავსეა, რომლებიც ზრდიან წაკითხულის გააზრების მაჩვენებლებსაც.

კითხვის კალენდრის გაანალიზების პროცესში ჩემი ყურადღება მიიპყრო, მოსწავლეების მიერ, მოცემულ დროში - წაითხული გვერდების რაოდენობამ. საინტერესო გახლდათ ეს თანაფარდობა, რადგან სწორედ კითხვის უნარის შეფასების ერთ - ერთი კრიტერიუმია გამართული და სწრაფი კითხვა, რაზეც ინტერვენციებს მუდმივად ვახორციელებდი საკლასო ოთახში. შედეგად დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები გამოიკვეთა, მოსწავლეების უმრავლესობა საშუალოდ, 15 წუთში 6-7 გვერდის წაკითხვას ახერხებენ, რაც პირველკასელთათვის დამაკმაყოფილბელია. აღსანიშნავია, რომ მსგავსი შედეგი აჩვენა აპრილის თვეში დიაგნოსტიკური ტესტირებით ჩემი პირველკლასელების კითხვის უნარების შეფასებამ. ინტერვენციის შემდეგ მშობლების გამოკითხვით გამოირკვა:

(დანართი 10)

- ✓ ჩემი პირელკლასელი მოსწავლეები უკლებლივ ყველა სახლში კითხვის პროცესს 10 წუთზე მეტს უთმობენ, რაც უმთავრესი შედეგია ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის, რადგან კითხვის უნარის განვითარება არ გამომივიდოდა თუ არა სახლში მუდმივი კითხვა.
- ✓ რომ მოსწავლეთა მიერ წაკითხული წინადადების გააზრების მაჩვენებელი გაიზარდა.
- ✓ ასევე ყველა მოსწავლეს შეუძლია ხმამაღლა მთლიანი სიტყვებით ან დამარცვლით წაიკითხოს მცირე ზომის ტექსტი.
- ✓ თორმეტივე მოსწავლე ახერხებს სიტყვის დაშლას ბგერებად და ბგერების გაერთიანებას სიტყვებად.

- ✓ მოსწავლეთა 83 %-ს შეუძლია მარტივი ენით დაწერილი სამ ან ოთხ საფეხურიანი ინსტრუქციების გაგება და შესრულება,ხოლო 17%-ს ნაწილობრივ.

3.4 მიღებული შედეგების გრაფიკული გამოსახულება

გრაფიკი№1 კითხვის კალენდრის მონაცემები(კითხვის ხანგრძლიბობა,წუთი)

	1მარტი	2მარტი	3მარტი	4მარტი	5მარტი	6მარტი	7მარტი	8მარტი	9მარტი	10მარტი	11მარტი	12მარტი	13მარტი	14მარტი	15მარტი	16მარტი	17მარტი	18მარტი	19მარტი	20მარტი	21მარტი	22მარტი
მოსწავლე1	12	13	16	19	19	20	20	20	20	21	21	22	22	24	24	24	26	26	26	27	27	27
მოსწავლე2	11	11	13	13	13	14	14	14	14	15	15	15	15	15	15	17	17	19	19	19	20	22
მოსწავლე3	13	14	14	14	15	15	17	17	19	19	19	22	22	22	25	25	25	25	25	25	26	27
მოსწავლე4	11	11	12	10	12	13	13	13	15	15	15	15	15	15	15	15	15	16	17	17	17	17
მოსწავლე5	12	12	12	13	14	14	14	16	16	16	16	18	20	20	20	20	22	22	23	23	23	23
მოსწავლე6	14	15	15	15	19	20	20	20	23	23	23	24	24	24	25	25	28	28	30	30	30	32
მოსწავლე7	15	15	15	15	17	17	19	20	20	20	21	21	23	23	23	24	24	24	26	26	29	29
მოსწავლე8	12	13	14	18	18	20	20	20	20	20	20	22	22	22	22	25	25	25	25	26	28	28
მოსწავლე9	13	15	16	18	18	18	18	20	20	22	22	24	24	24	27	27	27	30	30	30	30	30
მოსწავლე10	12	14	17	19	19	19	23	25	25	25	25	25	27	29	30	30	33	33	33	34	35	35
მოსწავლე11	15	16	18	20	21	26	26	28	28	28	28	30	30	30	30	35	35	35	35	35	35	35
მოსწავლე12	15	17	19	20	20	23	23	24	24	25	25	25	25	25	25	25	27	27	27	27	28	28

გრაფიკი №2 ინტერვენციის შეფასება, მშობელთა კითხვარი



გრაფიკი№2

რა დროს უთმობს თქვენი შვილი სახლში კითხვის პროცესს?



გრაფიკი №3 მოსწავლეთა კითხვის უნარის შეფასება მშობელთა პასუხები



თავი IV კვლევის შედეგების შეჯამება

4.1 რეკომენდაციები

კვლევისათვის მნიშვნელოვანი გახლდათ მშობელთა სასწავლო პროცესში ჩართულობის მიღწევა, რაც ძალიან დამეხმარა. ამ მხრივ საჭიროა ხშირი შეხვედრები და ერთგვარი ტრენინგების ჩატარება აქტივობის ხარისხის მეტი კონკრეტიკისათვის, რათა მიღებული შედეგი აღმოჩნდეს დავალების მიზნების შესაბამისი და ზედმიწევნით ზუსტი.

კითხვის უნარის განვითარებისათვის მიზანშეწონილად მიმაჩნია საკლასო სივრცეში პრეზენტაციების, ასევე აუდიო ან ვიდეო აქტივობების განხორციელება.(ასეთმა გარემომ ხელი შეუწყო ჩემს მოსწავლეებს წამახალისებელი აქტივობების შესრულებაში). საჭიროა ტექნოლოგიური სიახლეების მაქსიმალურად სასიკეთოდ გამოყენება. ფონოლოგიური პრობლემების აღმოსაფხვრელად და სიტყვათა ლექსიკის მარაგის გასაზრდელადაც, მსგავსი პროგრამული უზრუნველყოფები საუკეთესო საშუალებად მიმაჩნია.

მოსწავლეთათვის კითხვის უნარის განვითარების თემატიკაზე მომუშავეთათვის აუცილებელია მშობელთა და ზოგადად, მოსწავლის ოჯახის ჩართულობა, მათგან მოსწავლისათვის სასიკეთო მაგალითის მიცემით (წიგნის კითხვა მშობლის მიერ) და სხვადასხვაგვარი მხარდაჭერით. საშინაო კონტროლისათვის საჭიროა მშობელს გააჩნდეს დაწვრილებითი ინსტრუქტაჟი, ისვენებდა თუ არა მოსწავლე კითხვის დროს , უჩნდებოდა თუ არა წაკითხული ტექსტის მიმართ კითხვები, თუ არსებობდა გაუგებარი სიტყვები და მშობელს თუ სთხოვდა მათ განმარტებას. ასევე სასურველია, ტექსტიდან მოსწავლეებმა ამოწერონ მათთვის უცნობი სიტყვები და მასწავლებელმა განუმარტოს. აუცილებელია ბავშვის ინტერესების მუდმივი გათვალისწინება, ასეთ შემთხვევებში, როგორც მისთვის მისაღებია იმგვარად უნდა დავეხმაროთ. აგრეთვე, სასურველია,შედარების გაიოლების მიზნით ყველასათვის ერთი და იგივე სტილის და არა შინაარსის ტექსტის წაკითხვის მოთხოვნა, რათა წასაკითხი მასალის სირთულე ყველამ თანაბრად გაიზიაროს.

4.2 დასკვნა

წინამდებარე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევამ, სახელწოდებით „როგორ ვეხმარები ჩემს პირველკლასელ მოსწავლეებს კითხვის უნარის განვითარებაში“, რომელიც განვახორციელე მე, ქართულ ამერიკული სკოლის პირველი კლასის პედაგოგმა ეკატერინე მაკარიძემ, ცხადჰყო, რომ მუდმივად მობილიზებულ მასწავლებელს აუცილებლად შეუძლია მოსწავლეთა კითხვის უნარის განმავითარებელი მრავალი აქტივობის განხორციელება, მით უფრო, რომ ამაში მას მუდმივი ხელშეწყობა აქვს სკოლის ადმინისტრაციისაგან.

კვლევის კონტექსტში დავგეგმე რა თითოეული ნიუნსი, შევუდექი მათ განხორციელებას და ამომწურავად შევძელი კითხვის უნარის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემის იდენტიფიცირება. კერძოდ, მოსწავლეებს აშკარად აკლდათ სხვადასხვა სახის ლიტერატურის კითხვა, რაც თავისთავად წარმოქმნიდა ლექსიკური მარაგის ნაკლებობას და გაწაფული კითხვის შემაფერხებელ ფაქტორებს.

დეკოდირებასთან დაკავშრებული პრობლემის აღმოსაფხვრელად განვახორციელე აქტივობა „მზე და ცა.“ ასევე, გამოგონილი ამბავი კიარაზე, სადაც მნიშვნელოვანი გახლდათ სიტყვის დაშლა ბგერებად და მისი გამთლიანება.

აქტივობა-3 მთლიანად ემსახურებოდა ხმამაღლა წარმოთქმული ბგერითი კომბინაციის მის წერით შესატყვისთან დაკავშრების დროს არსებული ხარვეზების აღმოფხვრას, რამაც ინტერვენციის შემდგომ ეტაპზე დამაკმაყფილებელი შედეგი გამოიღო.

საკლასო სივრცეში ინტერვენციის განხორციელებაში დამეხმარა, მშობელთა მიერ შევსებული კითხვის კალენდარიდან მიღებული მონაცემები, თუ რა სახის ლიტერატურას და მხატვრულ ნაწარმოებებს ეცნობოდნენ მოსწავლეები კვლევის პერიოდში. ვიდრე მათგან საბოლოო შედეგს მივიღებდი მუდმივად მქონდა კონტაქტი მშობლებთან და პერიოდულად ვღებულობდი ინფორმაციას წაკითხული მასალის შესახებ თითოეულ მოსწავლეზე.

კვლევის მთავარი მიგნება გახლდათ, მშობელთა ჩართულობა მოსწავლეებისათვის კითხვის უნარის განვითარებაში. ამ სტრატეგიამ გაამართლა და უდიდესი წვლილი

შეიტანა ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის კონტექსტში. ვფიქრობ, დასახული მიზნების შესრულება სრულად მოვახერხე და ბავშვების მიერ კითხვის უნარის მაჩვენებლები საგრძნობლად შეიცვალა უკეთესობისაკენ, მართალია 100% -იანი შედეგი ვერ მივიღეთ, მაგრამ სამუშაო კიდევ ბევრია.

ასევე, მიგნებას წარმოადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ეფექტურობა . ძალიან დამეხმარა მოსწავლეთა ფსიქოლოგიური მახასიათებლების, მათი ლიტერატურული გემოვნებისა და ინტერესების სფეროს გათვალისწინება, მათზე მორგებული აქტივობის განხორციელებაში.

მიგნება გახლავთ, კვლევის პერიოდში ინტერვენციის შედეგებამდე მისი სათანადო მოწოდების სიმაღლეზე ყოფნის შემოწმების ხარისხი დიაგნოსტიკური ტესტების მეშვეობით, რომელიც მოითხოვს მუდმივად მუშაობას და აქტიურობას მასწავლებლის მიერ.

კვლევის მიგნებაა ისიც, რომ აღნიშნულმა პრაქტიკის კვლევამ დამანახა, რომ მასწავლებელი მუდმივად უნდა ზრუნავდეს თვითგანვითარებაზე და აქტიურად ითვისებდეს თანამედროვე ტექნოლოგიებს; ჩაერთოს თავისი სწავლის დონის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა სახის ტრენინგებში, რადგან სწორედ მოწინავე მასწავლებლის ხატის შესაქმნელი აუცილებელი წინაპირობებია პირადი გამოცდილებების საფუძველზე უახლესი მიღწევების კონსტრუირება, სწავლების მეთოდების გასაანალიზებლად და მათი მოდელირებული ვარიანტის სასწავლო პროცესში აპრობირებისათვის.

ძირითადი მიგნებები, რაც კითხვის უნარის განვითარებისათვისაა საჭირო, ესაა სიტყვების დამარცვლის შესაძლებობა, დამარცვლილის გაგება - გააზრება, გამეორება. ასევე, კითხვის უნარს აუმჯობესებს სწრაფი კითხვის ტექნიკა.პედაგოგი ხშირად უნდა უკითხავდეს მოსწავლეებს სხვადასხვა შემეცნებით ტექსტს, რათა მათი მხრიდან უკეთ მოხდეს ტექსტის შინაარსის წვდომა.

მოსწავლეებმა კარგი შედეგები აჩვენეს ინტერვენციის შემდგომ პერიოდში, დიაგნოსტიკური ტესტირებისას, მათ 1 წუთში მოახერხეს წაეკითხათ 30-დან 40 სიტყვამდე. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ რამდენიმე მოსწავლის შედეგი, ჩემს

შემთხვევაში კი ორი მოსწავლის, საგრძნობლად ვერ გაუმჯობესდა,ამ მოსწავლეებს ესაჭიროებათ უფრო მეტი დრო დაუთმონ ქართული ტექსტების კითხვის პროცესს, ისწავლონ ქართული აზროვნება,რაც დროის საკითხია.

4.3 გამოყენებული ლიტერატურა

1. ბესელია ნ. პაპავა პ. წიგნიერება დაწყებით კლასებში, მეთოდური სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის.ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო.2011

2.თავდგირიძე ლ. (2014)მასწავლებლისა და მშობლის თანამშრომლობა - მოსწავლის წარმატების საფუძველი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პედაგოგიური ფაკულტეტი, V საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია, სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები, შრომები, ქუთაისი:65.

3. კუტალაძე ი.(2013) PIRLS 2011წიგნიერება-ანგარიში .რედ.ნინო გორდელაძე.თბილისი: გამოცდების ეროვნული ცენტრი.

4. სამსონია ი. (2013) წიგნიერება:მასწავლებლის სახელმძღვანელო.თბილისი: სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი.

4. კეროლინ ჩეპმენი და რიტა კინგი (2016)კითხვის სწავლების განსხვავებული სტრატეგიები სხვადასხვა საგანში. მეორე გამოცემა, თბილისი

5. ჯენი ელის ორმროდი.(2016) ადამიანი და სწავლა. მეშვიდე გამოცემა.თბილისი

6.ინკლუზიური განათლება.გზამკვლევი მასწავლებლებისათვის.2009

7. საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი. 2015.კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასები). სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების კრებული.თბილისი.

8. სამსონია ი. 8 მაისი,2014. „რატომ ჩამორჩებიან მოსწავლეები კითხვაში და როგორ დავეხმაროთ მათ“ (20.01.2019) http://mastsavlebeli.ge/?p=2024

9.ოსიაშვილი ქ. 16 დეკემბერი,2013 .„სასწავლო პროცესის ძირითადი პრიორიტეტები დაწყებით კლასებში“. (15.01.2019) http://mastsavlebeli.ge/?p=2163

10. .ეროვნული სასწავლო გეგმა , 2018 – 2024 .საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/datskebiti-safekhuri-i-vi-klasebi-damtkitsda-2016-tsels (2.01.2019)

11.კარგი სკოლა-საგანმანათლებლო ვებ პორტალის რესურსები http://kargiskola.ge (27.01.2019)

12. მელიქიშვილი მ. 14.04. 2018. „შუა ბავშვობა“ (უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის განვითარების თავისებურებები)მელიქიშვილი ნ.,,განვითარების ფსიქოლოგია“ნაწილი 3. (13.01.2019) https://www.scribd.com/document/376344413

4.4 დანართები

დანართი1 - მშობელთა კითხვარი ინტერვენციამდე



კითხვარი მშობლებისთვის

ძვირფასო მშობლებო,

კითხვის უნარის დახვეწის მიზნით და კითხვისადმი ინტერესის გასაძლიერებლად რამდენიმე სტრატეგია შევიმუშავეთ. ტრადიციულად ყველაფერი კითხვის დიაგნოსტიკური ტესტირებით დავიწყეთ. კარგ მკითხველად ჩამოყალიბებისთვის, მნიშვნელოვანია ეს პროცესი შინაც გაგრძელდეს, რომ კითხვა ჩვენი ბავშვების ცხოვრების წესად იქცეს. სწორედ ამიტომ შევიმუშავეთ „კითხვის კალენდარი“, რითაც შესაძლებელი ხდება შინ კითხვის მონიტორინგი. თქვენს თანამშრომლობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

1. აქვს თუ არა თქვენს შვილს კითხვის ინტერესი?

დიახ (არა) ნაწილობრივ

2.კითხულობს თუ არა თქვენი შვილი სახლში კლასგარეშე ლიტერატურას?

(ზღაპრებს,სურათებიან წიგნებს და ა.შ)

დიახ (არა) ნაწილობრივ

3.თანახმა ხართ თუ არა , რომ თქვენმა შვილმა სახლში ყოველდღიურად იკითხოს სულ ცოტა 15 -20 წუთი?

[illegible]

4. რამდენად შეძლებთ ,რომ გაუწიოთ მონიტორინგი სახლში თქვენი შვილის კითხვის პროცესს?

[illegible]

დანართი2 აქტივობა - სქემა1



დანართი3- აქტივობა - სქემა2



დანართი4

ძაღლი

კატა

კურდღელი

თაგვი

დანართი5

სამიებელი ასო ჩ

„ჩუმად გამცალა ყვანჩალამ,

ჩარდახში არა დამრჩა რა,

ჩირი,

ჩურჩხელა,

ჩამიჩი,

ჩანთით შინ წააჩანჩალა.“

სამიებელი ასო ნ

თეთრი თრიოთინა თეთრ თრთვილზე თრთოლდა

სამიებელი ასო ჯ

ხუთკუნჭულა იყო

ჭკვიანი, თმახუჭუჭა ბიჭი.

დანართი6

გლეხი და დათვი დაძმობილდნენ. გადაწყვიტეს ჭარხლის საზიაროდ დათესვა, ასეც მოიქცნენ. მერე ღობის ძირში ჩამოსხდნენ და მოილაპარაკეს ჭარხალი როგორ გაეყოთ რაც მიწის ქვემოთ იქნება ჩემი იყოს, რაც მიწის ზემოთ ის შენი იყოსო, - თქვა გლეხმა, კარგიო დაეთანხმა დათვი. მოსავალი რომ მოიწიეს, გლეხმა ჭარხალი წაიღო, დათვს კი ფოთლები ერგო.

დანართი7

ოთხფეხა ჩლიქოსანი ძუძუმწოვარი ცხოველი.ცხენები დიდი ხნის განმავლობაში ეკონომიურად ყველაზე მნიშვნელოვანი მოშინაურებული ცხოველები იყვნენ და განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ ადამიანთა და ტვირთის ტრანსპორტირებაში ათასობით წლის განმავლობაში.ცხენი შინაური ცხოველია.ის წარმოიშვა გარეული ცხენისგან.საკვების მოპოვებისა და მტრისგან თავდაცვის პირობების გავლენით ცხენს გამოუმუშავდა სწრაფი სირბილის უნარი.

ველის პირობებში წარმოშობილ ცხენს თავიდანვე აწუხებდნენ ბუზები და სხვა

დანართი 8





დანართი9



დანართი10



კითხვარი მშობლებისთვის:

1.რა დროს უთმობს თქვენი შვილი სახლში კითხვის პროცესს?

ა) 5 წუთის ბ) 10 წუთის √ გ) 10 წუთზე მეტს

2.შეუძლია თუ არა თქვენს შვილს ხიტყვის დაშლა ბგერებად და ბგერების გაერთიანება ხიტყვებად?

√ ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

3. შეუძლია თუ არა თქვენს შვილს ხმამაღლა მთლიანი ხიტყვებით ან დამარცვლილი წაკითხოს მცირე ზომის ტექსტი?

√ ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

4.გასაგებია თუ არა თქვენი შვილისთვის წაკითხული წინადადების მნიშვნელობა?

√ ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

5.შეუძლია თუ არა თქვენს შვილს მარტივი ენით დაწერილი სამ ან ოთხ ხიტყვიანი ინსტრუქციების გაგება და შესრულება?

ა) დიახ ბ) არა √ გ) ნაწილობრივ

6.შეუძლია თუ არა თქვენს შვილს ტექსტის მიხედვით გამოხატოს პირადი დამოკიდებულება?

(მოგწონთ/არ მოგწონთ)

√ ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

დანართი 11



დისკუსია ზღაპრის გმირთან

რაში ეთანხმები ზღაპრის მთავარ გმირს?

ჭკვა ონდა გაძლიეონლთ.

„ხეხი სჯობია ლანვსა, თუ კაცი ძლიერნგსა.“

რაში არ ეთანხმები ზღაპრის მთავარ გმირს?

ის ხან ნაკლოქექია ზოხმაკლბდა.

რა რჩევას მისცემდი ზღაპრის მთავარ გმირს?

ეს იზოხმაკლს და იძეშაკს.
ხან ეზოხმაკა სახლიდან ეს გაეგზეგნ.

9



სათაური და ზღაპარი

სათაურის წაკითხვის შემდეგ

თაგლოზე

ივარაუდე, რაზე შეიძლება იყოს ეს ზღაპარი.

გვასწავლის ჭკუას.

რატომ ღირს ამ ზღაპრის წაკითხვა?

ზღაპრის წაკითხვის შემდეგ

დიახ. აქ იყო ზღაპარი თაგლზე.

გამართლდა შენი ვარაუდი?

ფუტკარმა თაგვი მოსკალა.

რატომ?

შეიცვალა ფუტკარი.

მოუფიქრე ამ ზღაპარს სხვა სათაური

დანართი 12



კითხვარი კითხვრის ხელმძღვანელისათვის:

1. მოსწავლეებმა შეძლეს ასოების გამოლაპარაკება მარცვლებად,მარცვლების სიტყვებად.

ა) კი ბ)არა გ) ნაწილობრივ

2.მოსწავლეებს გამომუშავებული აქვთ ზეპირად წარმოთქმული სიტყვის ბგერებად დანაწევრებისა და გამოთქმის უნარი.

ა) კი ბ)არა გ) ნაწილობრივ

3.მოსწავლეებს გამომუშავებული აქვთ არეული თანმიმდევრობით მოცემული ასოების იდენტიფიცირებისა და შესაბამის ბგერასთან მისადაგების უნარი.

ა) კი ბ)არა გ) ნაწილობრივ

4. მოსწავლეებს შეუძლიათ ერთმანეთთან დაკავშირონ ტექსტში მოცემული ინფორმაცია და ილუსტრაცია.

ა) კი ბ)არა გ) ნაწილობრივ

5. მოსწავლეებმა შეძლეს ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა.

ა) კი ბ)არა გ) ნაწილობრივ

6.მოსწავლეებს გამომუშავებული აქვთ ლექსიკური ერთეულის გაგებისა და კონტექსტის გათვალისწინებით სწორად გამოყენების უნარი.

ა) კი ბ)არა გ) ნაწილობრივ

7. მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიტანონ დასკვნა ნაწარმოებში წამოწეულ ზნეობრივ და მორალურ საკითხებზე/თემებზე(მაგალითად,ცუდია,უნდა იყო მეგობრული...);

ა) კი ბ)არა გ) ნაწილობრივ



8.მოსწავლეებს შეუძლიათ დამოუკიდებლად გაიგონ მარტივი ენით დაწერილი სამ ან ოთხ სიტყვიანი ინსტრუქცია.

ა) კი ბ)არა გ) ნაწილობრივ

9.მოსწავლეებს შეუძლიათ ერთმანეთთან დაკავშირონ ტექსტში მოცემული კონკრეტული ინფორმაცია.

ა) კი ბ)არა გ) ნაწილობრივ

10.მოსწავლეები ვერბალური თუ არავერბალური ტექსტებით გადმოცემულ ამბავს უკავშირებენ საკუთარ გამოცდილებას.

ა) კი ბ)არა გ) ნაწილობრივ

რეფლექსია კვლევის გაზიარების შედეგებზე

ქალაქ თბილისის ქართულ-ამერიკულ სკოლაში ჩავატარე პედაგოგური პრაქტიკის კვლევა „ როგორ ვეხმარები ჩემს პირველკლასელ მოსწავლეებს კითხვის უნარის განვითარებაში.“

ჩატარებული კვლევის აუცილებლობა განაპირობა ჩემს სადამრიგებლო კლასში 2018 წლის დეკემბრის თვეში აღმოჩენილმა და გამოკვეთილმა კითხვასთან დაკავშირებულმა პრობლემამ.

გამიჩნდა სურვილი წარმომეჩინა ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, რომელიც მოსწავლეებს აუმაღლებდა კითხვის უნარის დონეს, ხოლო მასწავლებლებისათვის მომეცემოდა საშუალება გამეზიარებინა ჩემი გამოცდილება, რაც წარმოჩნდებოდა ამ კვლევაში.

ვიმყოფებოდი მასწავლებელთა ტრენინგზე, რომელზეც განმარტებული გახლდათ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის მნიშვნელობა და გაგვაცნეს მისი შესრულებისათვის საჭირო კრიტერიუმები.

ჩემ მიერ განხორციელებული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში, პრეზენტაციის სახით (პროექტორის გამოყენებით), გავაცანი კოლეგებს.მათ რჩევები ვკითხე კვლევის დაწყებამდე,ასევე კოლეგებს რჩევებს ვეკითხებოდი და ვითვალისწინებდი კვლევის განხორციელების პროცესში. პარალელური კლასის მასწავლებელმა გამიზიარა საკუთარი გამოცდილება, თუ რა აქტივობებს ახორციელებდა თავის კლასში ტექსტის გაგება-გააზრების მიზნით.

კოლეგების მხრიდან,იკვეთებოდა ინტერესები კვლევის მიმდინარეობის პროცესში. კერძოდ,აინტერესებდათ თუ რომელი კვლევის მეთოდები გამოვიყენე.კოლეგებს გავაცანი ჩემ მიერ გამოყენებული კვლევის მეთოდები.

კვლევის გაზიარების შემდეგ, განხილვა მიმდინარეობდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კოლეგებისგან მივიღე რჩევები და რეკომენდაციები სიტყვიერად. მათთვის ფონოლოგიური პრობლემების აღმოფხვრაზე აქტიური მუშაობა დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. მირჩიეს, სხვა დროს კითხვის უნარის განვითარებასთან დაკავშირებით დაგეგმილ ღონისძიებებში,შემოქმედებითი აზროვნების განვითარების საწყისები, მოსწავლეებს უკეთ დაეხმარებოდათ გამოცდილებასთან დაეკავშირებინათ ახლად ნასწავლი სიტყვები, რასაც მთლიანად ვიზიარებ და მეორე კლასში ამ მიმართულებითაც განვაგრძობ მუშაობას.

საბოლოოდ , მათი ერთობლივი შეფასებით: ,,მრავალი საინტერესო ფაქტორია თავმოყრილი ჩემს კვლევაში, საიდანაც დგინდება, თუ რაოდენ ბევრი ლიტერატურის გაცნობა მომიწია კვლევისათვის მოსამზადებლად და როგორ ეფექტურად შევძელი მათი გაანალიზება/ საკლასო სივრცეში დანერგვა“. დასკვნის სახით წარმოდგენილი შედეგი გამოირჩევა ობიექტურობით და დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა ყველასათვის.ამას გარდა, მათ კვლევაში ბევრი მნიშვნელოვანი სიახლე ამოიკითხეს, მათ შორის ძირითადი გახლდათ მშობელთა ჩართულობის მაღალი ხარისხი სასწავლო ცხოვრებაში.

ბევრი მათგანისათვის ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა ბიძგის მიმცემი აღმოჩნდა და გაუღვივა მოტივაცია, თავადაც აირჩიონ მომავალში საკვლევი თემატიკა და განახორციელონ მსგავსი პრაქტიკის კვლევა.კოლეგებმა თქვეს, რომ კითხვის სწავლების დროს დანერგავენ ჩემ მიერ გამოყენებულ სტრატეგიებსა და მეთოდებს.

ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო კოლეგების აზრი და მათი რჩევები მისაღებია.

კვლევის განხორციელებით დავრწმუნდი,რომ ჩემი პედაგოგიური პრაქტიკა გაიზარდა და რაც უპირველესია , მოსწავლეთა შედეგები გაუმჯობესდა.

ვფიქრობ,კვლევაზე მუშობის დროს შეძენილი ცოდნა გამომადგება მომავალში სხვა კვლევების განხორციელებისას.